



თვითმმართველობის დღი

საერთაშორისო ადგილობრივი მმართველობის განვითარების ცენტრი
 ბრიტანეთი № 7



საერთაშორისო ადგილობრივი მმართველობის განვითარების ცენტრი



საერთაშორისო ადგილობრივი მმართველობის განვითარების ცენტრი

შინაარსი

დავით ნარმანი: უნდა გაიზარდოს მერიის გამჭვირვალობა და ანგარიშ- ვალდებულება საზოგადოებასთან მიმართებაში	3
თბილისის 2014 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია	6
თბილისის ბიუჯეტის გარშემო განვითარებული მოვლენების ქრონიკა ...	8
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამი- ნისტროს 2014 წლის სამოქმედო გეგმა	14
სიახლეები მუნიციპალიტეტებიდან	24



დავით ნარმანია: უნდა გაიზარდოს მერიის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საზოგადოებასთან მიმართებაში

რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზე თითქმის ორწლიანი მუშაობის შემდეგ, დავით ნარმანია თბილისის მერობისთვის იბრძოლებს. მოქმედი მინისტრი იმ მიღწევებზე და გამონკვევებზე საუბრობს, რასაც სამინისტრომ მისი მუშაობის პერიოდში მიაღწია. დავით ნარმანია დეცენტრალიზაციისთვის გადადგმულ ნაბიჯებს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმად თვლის და ქვეყანაში მტკიცე დემოკრატიული მმართველობის დამყარების მთავარ საფუძვლად მიიჩნევს.

რა პრობლემები დაგხვდათ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში და რა ცვლილებები განხორციელდა თქვენი მინისტრობის პერიოდში?

პირველ რიგში უნდა ითქვას ის რომ, ეგრედწოდებული გადმობარების პერიოდში მე და ჩემი კოლეგები ვეცნობოდით სამინისტროს სტრუქტურას, მიმდინარე პროექტებს და პროგრამებს, ასევე იმ მიდგომებს რა მიდგომითაც ხდება სამინისტროს მენეჯმენტი. ყველაზე მთავარი პრობლემა, რომელიც მე დამხვდა იყო ინფრასტრუქტურაში არსებული მოძველებული საბჭოთა პერიოდის სტანდარტები. ჩვენდა სამუხ-

აროდ დაგხვდა ცალკეული პრობლემები პროექტების ვადების ჩამორჩენასთან დაკავშირებით, ასევე იყო ხარისხთან და თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით მზაობის არარსებობა. აქედან გამომდინარე ჩვენ მოგვიწია ძალიან აქტიური მუშაობა იმისათვის, რომ ასეთი მზაობა შეგვექმნა. პირველ რიგში მოგვემზადებინა სტრატეგიული დოკუმენტი და დაგვეწყო რეფორმის პროცესი. ასევე არ არსებობდა პროექტების მართვის ერთიანი მონესრიგებული სისტემა და ყველა პროექტი იმართებოდა ინდივიდუალურად და არა კოორდინირებულად.

რა იქნება სამინისტროს 2014 წლის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტები?

რა თქმა უნდა გამოკვეთილია სამინისტროს 2014 წლის სამოქმედო გეგმა და მისი ძირითადი პრიორიტეტები. მშენებლობის თვალსაზრისით ძირითადი პრიორიტეტებია შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის გზების უფრო სწრაფი ტემპებით მშენებლობა, წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტების საქალაქო დასახლებებში მყარი ნარჩენების მართვა, ადგილობრივი თვითმმართველობების

მხარდაჭერა. რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თვალსაზრისით, პრიორიტეტულია ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა და ინსტიტუციური განვითარება იმისათვის, რომ სამინისტროს სისტემა იყოს უფრო მეტად მოწესრიგებული.

6 თებერვალს გამართულ ბრიფინგზე თქვენ განაცხადეთ, რომ გამოაქვეყნებთ ყველა იმ დარღვევას რაც იყო წინა ხელისუფლების დროს, ძირითადად რა სახის დარღვევებზე და დოკუმენტებზეა საუბარი?

უნდა ითქვას ის, რომ დარღვევები მრავლად იყო წინა ხელისუფლების პირობებში. პროექტების და პროგრამების მართვის თვალსაზრისით, ძირითადი დარღვევები იყო საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტები, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის წესების დარღვევა, პროექტების უხარისხო შესრულება. ეს ფაქტები ჩვენთვის ცნობილი იყო და პერიოდულად მათ ვავლენდით კიდევ 2012 წლის ბოლოს და 2013 წლის განმავლობაში. ასევე ვუგზავნიდით საგამოძიებო ორგანოებს, ძირითადად საქართველოს მთავარ პროკურატურას და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს. ვაქვეყნებდით ინფორმაციას, თუმცა არა ყველა პროექტზე და დარღვევაზე, საბოლოოდ მივიღეთ გადაწყვეტილება და გვინდა საზოგადოებისთვის ყველაფერს ნათელი მოვფინოთ. პარალელურ რეჟიმში დავიწყეთ არსებული დარღვევების უფრო აქტიური გამოქვეყნება და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. ჯერ გამოქვეყნდა ერთი ნაწილი, ორი, სამი შეხვედრა და ბრიფინგი კიდევ მიეძღვნება ამ თემას.

პარლამენტმა მიიღო თვითმმართველობის კოდექსი. რამდენად ემაყოფილი ხართ იმ საბოლოო ვერსიით, რომელიც იქნა წარმოდგენილი?

უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ, თუმცა ალბათ უფრო მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა. ჯარგია რომ ქვეყანაში ვინცებთ ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნდამენტურ რეფორმას, ჯარგია რომ ქვეყანაში თვითმმართველობა იქნება ძლიერი და ამის ასე ვთქვათ რეალური საფუძველი არსებობს მოცემულ კოდექსში. სისტემა იქნება გაცილებით უფრო დემოკრატიული,

იმიტომ რომ პირდაპირი წესით მოხდება გამგებლების და მერების არჩევა. ძალიან ბევრი საკითხი რაც ვერ რეგულირდებოდა ადრე მოქმედი კანონმდებლობით ჩვენი შემოთავაზებული კოდექსით იქნება რეგულირებული. თუმცა რეფორმა მხოლოდ კოდექსის მიღებით და არჩევნების ჩატარებით არ სრულდება, ამიტომ რეფორმა უნდა გაგრძელდეს რა თქმა უნდა და კიდევ უფრო მეტი დემოკრატიული ნაბიჯები გადაიდგას იმისათვის, რომ უფრო მოწესრიგებული და დახვეწილი სისტემა მივიღოთ.

რამდენად გაამარტივებს ცენტრალური ხელისუფლების მუშაობას რეგიონებში ახალი კოდექსი და რამდენად ეფექტური იქნება მმართველობა ადგილობრივ დონეზე?

რა თქმა უნდა ეს არის მთავარი საფუძველი იმისა, რომ ქვეყანაში მართვა გაუმჯობესდეს და უფრო ეფექტიანი გახდეს ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობა. ცენტრიდან ყველა საქმის კეთება არ არის ეფექტიანი. მაგალითად შეუძლებელია სოფლების დონეზე ელემენტარული პრობლემების მოგვარებაში ერთდრე ცენტრიდან და აქედან გეგმავდეს პროექტებს და პროგრამებს. ამიტომ ჯობია, რომ ესეთი ტიპის საჭიროებები თვითმმართველობებმა მოავარონ ადგილობრივად, მოქალაქეებმა სწრაფად დააფიქსირონ და მიიტანონ თვითმმართველობასთან თავიანთი საჭიროებები და მათ სწრაფად და ადეკვატურად გადაუწყვიტონ ყველაფერი. ეს არის თვითმმართველობის მთავარი ხიბლი და აქედან გამომდინარე, რათქმაუნდა, ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობის ეფექტიანობასაც გაზრდის, ცენტრი უფრო მეტად გადაერთვება მისი ფუნქციების შესრულებაზე და მეტის გაკეთებას შეძლებს.

ბევრი რამ არის განერილი გარდამავალ დებულებებში, რა საკითხები იქნება პრიორიტეტული უკვე არჩევნების შემდგომ?

არჩევნების შემდგომ მთავარი პრიორიტეტი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის უვალდებულო კადრებით დაკომპლექტება, ასევე საბიუჯეტო რეფორმა ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის და 2015 წლის პირველი იანვრიდან მათთვის ახალი ბიუჯეტების მიღება, რაც მეტი ფისკალური დეცენტრალიზაციის ფორ-

მით იქნება. შემდეგ კი - მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მუნიციპალური სტანდარტების მიღება, მოხელეების გადამზადება და ასე შემდეგ. არის კომპლექსური ტონისძიებები რამაც ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანობა უნდა გაზარდოს და რაზეც უნდა იყოს რეფორმის სამომავლო ორიენტირი მიმართული.

პოლიტსაბჭომ თქვენ მერობის კანდიდატად დაგასახელად, რასაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მთავარი ბრალდება იყო ის, რომ მოქმედი მინისტრის კანდიდატად დასახელება, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საფრთხეს შექმნიდა, რას უპასუხებდით ამ ბრალდებებს?

ბოლო 2 თვის საქმიანობამ, რაც მე დასახელებული ვარ კანდიდატად, ცხადყო ის, რომ მე არ გამომიყენებია ადმინისტრაციული რესურსები და არც ვაპირებ გამოყენებას. სიმართლე გითხრათ, დღეს მოქმედი მერიის ხელმძღვანელობას გაცილებით უფრო მეტი რესურსი აქვს და იყენებენ კიდევ. მე ამას პირდაპირ ვიტყვი ყოველგვარი დამალვის და დაფარვის გარეშე. იყენებენ საიმისოდ, რომ ამომრჩევლის გული მოიგონ და ამიტომ ჩვენი ოპონენტები ვიდრე ჩვენს ბოსტანში დაიწყებენ ქვების სროლას, ჯობია რომ თავიანთ ბოსტანში ჩაიხედონ. მე მინდა, რომ აბსოლუტურად სუფთა ფორმით ჩავატაროთ ჩვენს ქვეყანაში არჩევნები, ეს არის ჩვენი პოლიტიკური გუნდის გადაწყვეტილება და ამასვე ემსახურება ის ნაბიჯები რასაც ჩვენ ვდგამთ.

რას ფიქრობთ ახალ საარჩევნო კოდექსზე და როგორც მერობის კანდიდატი როგორ განიხილავთ თქვენ შანსებს ბარიერთან მიმართებაში?

ცოტა უხერხულია ჩემი მხრიდან ვისაუბრო ბარიერზე, თუმცა ვიტყვოდი, რომ ნაბიჯი, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ და პოლიტიკურმა გუნდმა გადადგა არის ძალიან დემოკრატიული. მათ მიაღწიეს კონსენსუსს და მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის შედეგადაც დემოკრატიული არჩევნების წინაშე ვდგებით. არ არსებობდა არსად ბარიერი, გარდა დედაქალაქისა და ახლა ყველგან იარსებებს, დედაქალაქში იყო 30%-იანი და იქნება 50%-იანი, რაც, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანი გა-

მოწვევაა, მეორეს მხრივ, უაღრესად აქტუალური საკითხია, რამდენადაც პოლიტიკური ძალები უფრო მეტად მობილიზებული უნდა იყვნენ ამისთვის. რაც შეეხება ბარიერის გადალახვას, მე არც 50 პროცენტია და არც უფრო მაღალი ბარიერის გადალახვა, ვფიქრობ, რომ არ გამიჭირდება.

არსებული პროექტით დამოუკიდებელ კანდიდატებს მერის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვთ, როგორ ფიქრობთ რამდენად სამართლიანია ასეთი მიდგომა?

მე არ მინდა რომ შეფასება გავაკეთო ამასთან დაკავშირებით, იმიტომ რომ ეს არის ინტერფრაქციული ჯგუფის მსჯელობის საგანი დამათი თემაა, აქედან გამომდინარე ჯობია, რომ მათ გააკეთონ ამასთან დაკავშირებით კომენტარი. თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ამ საკითხს.

მერად არჩევის შემთხვევაში რას შეცვლიდით თბილისის მერიის მუშაობაში?

მიფიქრია და ძალიან აქტიურად ვმუშაობ ამ საკითხებზე, რომ მერიის მმართველობის ეფექტიანობა გაიზარდოს. პირველ რიგში უნდა გაიზარდოს იმ სერვისის მიწოდების ხარისხი, რასაც მერია აწვდის მოქალაქეებს. უნდა გაიზარდოს მერიის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საზოგადოებასთან მიმართებაში და რეალურად მერია უნდა იყოს საზოგადოების დაკვეთის შემსრულებელი და არა იმ პოლიტიკის გამტარებელი, რაც მის ტოპ მენეჯმენტში არსებულ ადამიანებს სჭირდებათ. ჩემს წინასაარჩევნო პროგრამაში შემოთავაზებული იქნება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები. პროგრამა იქნება რეალურად არსებულ პრობლემებზე დაფუძნებული, სადაც კომპლექსური ხედვები იქნება წარმოდგენილი თუ როგორ ვაპირებთ მე და ჩვენი გუნდი ამ პრობლემების მოგვარებას დედაქალაქში.

რაიმე კონკრეტული გეგმები ხომ არ გაქვთ მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად?

მოქალაქეების ჩართულობის კუთხით, რა თქმა უნდა, იმისგან რასაც იყენებდა დედაქალაქის მერია, რადიკალურად განსხვავებული მიდგომები იქნება შემოთავაზებული. იქნება საზოგადოების ჩართულობის კონკრეტუ-

ლი ინსტრუმენტები, უბნების მიხედვით საჭიროების გამოვლენისა, შემდგომ მისი თავმოყრისა, სისტემატიზაციისა, მისი პრიორიტეტულად დალაგებისა, ბიუჯეტში ასახვისა და შემდგომ საზოგადოებისთვის ანგარიშის ჩაბარებისა. აქედან გამომდინარე რა თქმა უნდა ეს მექანიზმები ძალიან კარგად იქნება განვითარებული.

ესაუბრა ნათია ლოხიშვილი

თბილისის 2014 წლის ბიუჯეტი ღამბახიცაბულია

სამთვიანი განხილვების შემდეგ მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებს შორის შეთანხმება მოხდა და გარკვეული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ უმრავლესობამ ფინანსურ დოკუმენტს მხარი დაუჭირა. განხილვის პროცესს და-

მშენებლობა-ექსპლუატაციისა და ავარიული შენობების გამაგრებისათვის - 156 მილიონ 450 ათასი ლარი, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესებისათვის - 69 მილიონ 500 ათასი ლარი, ეკონომიკის განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობისათვის 12,5 მილიონი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარებისათვის 30 მილიონი ლარი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებისათვის 186,673 მილიონი ლარი, განათლებისათვის - 84 მილიონ ლარზე მეტი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამებისთვის - 50 მილიონ ლარზე მეტი, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისთვის 23 მილიონ ლარზე მეტი.



მოუკიდებელი დეპუტატები ეახა ეუკავა და მამუჯა კაციტაძე დაესწრნენ, თუმცა მათ ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირეს. საკრებულოში თბილისის ბიუჯეტის პროექტი მერის მოადგილემ ჰაპუნა ჰეტრიაშვილმა წარადგინა. სხდომაზე საკითხს 41 მომხრე ჰყავდა, ქვორუმი კი 24-ს შეადგენდა.

ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულია შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები, რომელიც დაახლოებით 700 მილიონ ლარს შეადგენს. ხოლო ბიუჯეტის ხარჯების პროექტით განსაზღვრულია 600 მილიონ ლარამდე.

თბილისის საკრებულოს მიერ შემუშავებული ბიუჯეტის მოცულობა 785 მილიონ ლარს შეადგენს. ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-ადგენისათვის 88 მილიონ 713 ათასი ლარი იქნება გამოყოფილი, ინფრასტრუქტურის ობიექტების

ბიუჯეტის პროექტის მეშვიდე თავი მოიცავს მარეგულირებელ ნორმებს. მეშვიდე თავში რამდენიმე მუხლი უკავია, თუ რა მარეგულირებელი ნორმებით იმუშავებს საკრებულო საბიუჯეტო თანხების გასაკონტროლებლად.

"საკრებულოს შენიშვნების შემდეგ შემოტანილია მერიის ბიუჯეტი, რომელიც რეალურ-

რად დიდ ნაბიჯს გვადგმევინებს ნამდვილი თვითმმართველობისკენ, თბილისელები იქნებიან დაზღვეული იმისგან, რომ მათ ბიუჯეტს ვერაზინ თავისი პარტიული ინტერესებისთვის ვერ გამოიყენებს", - ასეთი შეფასება გააქეთა საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა. მისივე თქმით, მანამდე წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი არ იყო ორიენტირებული თბილისელებზე და მორგებული იყო გიგი უგულავაზე.

"დღეს ერთპიროვნული მმართველობა ფაქტობრივად ინგრევა. ეს არ არის მხოლოდ უმრავლესობის წარმატება ეს თითოეული თქვენგანის წარმოატებაცაა", - განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ჯაბა სამუშიამ.

საკრებულოს უმცირესობისა და მერიის წარმომადგენლები ბიუჯეტის მიღებას მიესალმებიან, თუმცა აღნიშნავენ, რომ მათი მხრიდან ქალაქის მთავრ ფინანსურ დოკუმენტში მაინც არსებობს შენიშვნები.

„პირველ რიგში მინდა თბილისელებს მივულოცო ბიუჯეტის დამტკიცება. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული შენიშვნები დაგვრჩა, ჩვენ მას მაინც დავუჭირეთ მხარი. მაგალითად ბიუჯეტში ახალი ავტობუსების შესაძენად საერთოდ არ არის გათვალისწინებული სახსრები, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამა 5 მილიონი ლარით ნაკლები თანხით განისაზღვრა.

ჩვენ ვიმუშავებთ ამ ბიუჯეტით და ყველანაირად შევეცდებით მოვაგვაროთ ის პრობლემები, რაც დღეს თბილისს და თბილისელებს აწუხებთ",- განაცხადა თბილისის მერის მოადგილემ პაპუნა პეტრიაშვილმა.

„თბილისის ბიუჯეტის მიღება მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია თბილისელებისთვის და მადლობას ვუხდით ყველას ვინც ამ პროცესში მიიღო მონაწილეობა.

ჩვენ დიდი ხნის წინ შევთავაზეთ საკრებულოს თავად წარმოედგინა ბიუჯეტი, მაგრამ ეს ვითარება დიდხანს გაიწელა. როგორც ჩანს შიხიაშვილს ვილაცამ დაუქნია თითი და უბრძანა, რომ აუცილებლად მიეღო ეს გადაწყვეტილება. რაც შეეხება ბიუჯეტს, მასში სოციალურ პროგრამებზე 10 მილიონი ლარით ნაკლებია გათვალისწინებული, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამა 5 მილიონი ლარით ნაკლები თანხით დაფინანსდება, ხოლო ახალი ავტობუსების შესაძენად თანხები საერთოდ არ არის გათვალისწინებული. თბილისის მერიამ შიხიაშვილის ბიუჯეტობა არჩია უბიუჯეტობას და მზად არის არ შეწყვიტოს მუშაობა",- განაცხადა საკრებულოს უმცირესობის წევრმა მამუკა ახვლედიანმა.

2014 წლის ბიუჯეტის განხილვა 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, მერიის მიერ მომზადებული მთავარი ფინანსური დოკუმენტი საკრებულოს მიერ იქნა დაწინებებული, რადგან უმრავლესობა აცხადებდა, რომ პროექტი ბუნდოვანი იყო.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თუ თბილისის ბიუჯეტი 11 მარტამდე არ დამტკიცდებოდა, ცენტრალური მთავრობას უფლება ჰქონდა პარლამენტის თანხმობით დაეთხოვა საკრებულო და თბილისის მთავრობა და პირდაპირი მმართველობა შემოეღო.

საბოლოოდ საკრებულოს უმცირესობის ინიციატივის საფუძველზე, უმრავლესობამ მოამზადა ბიუჯეტის პროექტის თავისი ვარიანტი, რომელიც 7 მარტის სხდომაზე დამტკიცდა.

დამტკიცებული ცვლილებების თანახმად თანხებს თბილისის მერია საკრებულოს მეთვალყურეობით განჯარგავს.

იხილეთ თბილისის ბიუჯეტი

თბილისის ბიუჯეტის გარშემო განვითარებული მოვლენების ქრონიკა

თბილისის მერიამ საარაბულოში დედაქალაქის ბიუჯეტის შესწორებული პროექტი შეიტანა

20 იანვარი

თბილისის მერიამ საკრებულოში დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტი შეიტანა. როგორც საკრებულოს უმცირესობის წევრები აცხადებენ, წარმოდგენილი დოკუმენტი მაქსიმალურად ოპტიმალურია და მათ იმედი აქვთ, რომ საკრებულო ამ ვარიანტს თვის ბოლოს დაამტკიცებს.

"იმედი გვაქვს, რომ უმრავლესობა ამჯერად მაინც გამოვა თავისი პოლიტიკური ჩარჩოებიდან და დედაქალაქისა და მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებს. მერიის მხრიდან წარმოდგენილია კორექტირებული ბიუჯეტი, ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი კოლეგების მხრიდან აღარ იქნება უარგუმენტო შენიშვნები და მისი დამტკიცება ამ თვის ბოლოს მოხდება", - განაცხადა თემურ გრიგალაშვილმა.

თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებლის სევდია უგრეხელიძის განცხადებით, ბიუჯეტის შესწორებისას, საკრებულოს 14 რეკომენდაციიდან 10 გაითვალისწინეს, დანარჩენი საკითხების შესწორების საშუალებას კი ჯანონი არ იძლევა.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი აცხადებს, რომ უმცირესობასთან კონსულტაციებისთვის მზად არის და ბიუჯეტი მოსახლეობის საჭიროებების მიხედვით გადანაწილდება.

"მზად ვართ იმისთვის, რომ ქალაქს ბიუჯეტი ჰქონდეს, ოღონდ არა ისეთი, როგორც კონკრეტულად ერთ პარტიას „ნაციონალ-

ურ მოძრაობას" უნდა. ჩვენ გვინდა, ქალაქს გააჩნდეს ბიუჯეტი რომელიც მოტივირებული და მიზანმიმართული იქნება თბილისელების უკეთესი მომავლისთვის", - განაცხადა შიხიაშვილმა.

საკრებულოს დედაქალაქის ბიუჯეტის დასამტკიცებლად ვადა 10 მარტს ეწვევა, რის შემდეგაც საკითხი კანონმდებლობის მიხედვით გადაწყდება.

თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი დედაქალაქის მერიამ გასული წლის 30 დეკემბერს წარადგინა, თუმცა უმრავლესობის გადაწყვეტილებით პროექტი ჩაშალა. დოკუმენტის წინააღმდეგ ხმა 21-მა დეპუტატმა მისცა. 18-მა მხარი დაუჭირა, 3-მა თავი შეიკავა. საბიუჯეტო პროექტის დამტკიცებისთვის საკმარისი უკორემი კი 24 ხმა იყო.

საარაბულოს უმრავლესობა ბიუჯეტის განხილვის პროცედურას განმარტავს

22 იანვარი

უმრავლესობის განცხადებით, ბიუჯეტის პროექტის სხდომაზე გატანა გარკვეული პროცედურების დაცვით უნდა მოხდეს.

თბილისის ბიუჯეტის თემას საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენელი კოკი იონათამიშვილი გამოეხმაურა. მისი განმარტებით, საკრებულოს სხდომაზე გატანამდე ბიუჯეტი პროექტი კომისიებსა და ფრაქციებში უნდა იქნას განხილული.

საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარის დავით ჯინჭარაძის განცხადებით, "რეგლამენტის თანახმად, საკითხი საკრებულოში განსახილველად სხდომამდე 10 ან 7 დღით ადრე უნდა იქნას შემოტანილი. ამ ეტაპზე, კი მისი საკრებულოში შემოტანა სხდომამდე მხოლოდ 2 დღით ადრე მოხდა.

ბიუჯეტის პროექტის სხდომაზე გამოტანა მხოლოდ ყველა კომისიასა და ფრაქციაში განხილვის შემდეგ დადებული დასკვნების შემდგომ იქნება შესაძლებელი, თუმცა, აქვე მინდა დავუმატო, რომ თუ ეს ყველაფერი საკრებულოს უახლოეს სხდომამდე მოესწრება, შესაძლოა, მისი ამ სხდომაზე გატანაც მოხერხდეს", - აღნიშნა დავით ჯინჭარაძემ.

დავით ნარმანია: "ის, რასაც დედაქალაქის მერიამ ღვაწაუბრს, საბობაქოს ნიშნებს აუხარად შეიცავს"

23 იანვარი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის განცხადებით, "დედაქალაქის მთავრობამ საკრებულოს დეტალურად, გამჭვირვალედ და პროგრამული ფორმით ჩამოყალიბებული ბიუჯეტი უნდა წარუდგინოს".

დავით ნარმანიას განმარტებით, "მერიას არც ერთი ბიუჯეტი არ წარუდგენია".

მინისტრის თქმით, იგი "დედაქალაქის 2014 წლის ბიუჯეტის ბოლო ვერსიას არ იცნობს და არ იცის, რამდენად გაითვალისწინა მერიამ საკრებულოს შენიშვნები".

"ის, რასაც აკეთებს დღეს მერია საბოტაჟის ნიშნებს აშჯარად შეიცავს, იმიტომ, რომ მათ შეუძლიათ ძალიან ბევრი ღონისძიებების დაფინანსება. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მათ ტრანსფერი მიღებული აქვთ, ანგარიშზე რამდენიმე მილიონი გააჩნიათ, ასეთ პირობებში ცალკეული ღონისძიებების შეფერხება სხვას არაფერს ემსახურება, თუ არა იმას, რომ ხალხს მოაჩვენონ, თითქოს ბიუჯეტის დაუმტკიცებლობა პროექტების განხორციელებაში ხარვეზებს ქმნის"-განაცხადა დავით წარმანაძე.

"მოვუწოდებ სკვდია უგრაბ-ელიძეს მოხრახუნდას საარაბულოში"

27 იანვარი

აღნიშნული განცხადება ჯაბა სამუშიამ სკვდია უგრეხელიძის წერილის საპასუხოდ გააკეთა, რომლის მიხედვითაც, თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელი დღეს საკრებულოში მისვლას არ აპირებს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მერის მოვალეობის შემსრულებელს, სკვდია უგრეხელიძეს საბოტაჟის შეწყვეტისკენ და საკრებულოში ბიუჯეტის პროექტის განხილვისკენ მოუწოდებს. სამუშიას თქმით, მერიის წარმომადგენელთა საქციელი პირდაპირ არის მიმართული იქითკენ, რომ თბილისს არ ჰქონდეს ბიუჯეტი. ყიდევ ერთხელ მოუწოდებ სკვდია უგრეხელიძეს მეტი სერიოზულობით მოუკიდოს აღნიშნულ საკითხს და მოხრახუნდას საკრებულოში, რათა მუხლობრივად იქნას განხილული ბიუჯეტის ფინანსური და პოლიტიკური ასპექტები" - განაცხადა ჯაბა სამუშიამ. სამუშიამ ყიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ საკრებულო მზად არის მერიასთან დიალოგისთვის .

ჯაბა უგრაბ-ელი ბიუჯეტი არ დაგვიტოვებ, მთავრობას საშუალება ექნება, საარაბულო დაითხოვოს

28 იანვარი

თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის, ჯაბა უგრაბ-ელის განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ" თბილისის ბიუჯეტის ჩაგდებასთან დაკავშირებით გეგმა შეიმუშავა. ამის შესახებ თბილისის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვის და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარემ ბრიფინგზე განაცხადა.

ჯაბა უგრაბ-ელი თქმით, თუ ბიუჯეტი 11 მარტამდე არ იქნება დამტკიცებული, ცენტრალურ მთავრობას საშუალება ექნება, თბილისის საკრებულო დაითხოვოს და მერის მოვალეობის შემსრულებელი დანიშნოს.

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის ინფორმაციით, ამ პოსტზე ხელისუფლება საკრებულოს დღევანდელი თავმჯდომარის, ირაკლი შიხიაშვილის კანდიდატურას განიხილავს.

როგორც უგრაბ-ელი აცხადებს, ამ ქმედებით დედაქალაქში "ქართული ოცნების" ერთპარტიული მმართველობა დამკვიდრდება.

საარაბულოს წევრები თბილისის მერის მოადგილეს უგრაბ-ელი უგრაბ-ელი

28 იანვარი

საკრებულოს წევრები ჯაბა უგრაბ-ელი და მამუკა ჯაციტაძე თბილისის მერის მოადგილეს ჰაპუნა ჰეტრიაშვილს შეხვდნენ. საკრებულოს პრესსამსახურის ინფორმაციით, მათ ჰეტრიაშვილს 2014 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გააცნეს.

"თავისუფალი საქართველოს" და "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელთა განმარტებით, ბიუჯეტი, პირველ რიგში, თბილისელების პრობლემების მოგარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

საქტემბრიდან თბილისის მერია საბავშვო ბაღების ჰაპუნა ჰეტრიაშვილს განაცხადა

29 იანვარი

სექტემბრიდან თბილისის მერია საბავშვო ბაღების ვაუჩერით დაფინანსებას გეგმავს. როგორც საკრებულო "ქორთიარდ მარიოტში" გამართულ თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის საჯარო განხილვისას თბილისის მერის მოადგილემ, ჰაპუნა ჰეტრიაშვილმა განაცხადა, 2014 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტით ბაღებისათვის გათვალისწინებულია 75 მილიონი ლარი, რაც თითქმის 25 მილიონ ლარზე მეტია, ვიდრე გასულ წელს იყო. დღეს არსებული მონაცემებით, თბილისის საბავშვო ბაღებში 48 ათასი აღსაზრდელი დადის, 15 ათასი აღსაზრდელი კი სახელმწიფო ბაღებში დარეგისტრირებას ვერ ახერხებს. თბილისის მერის მოადგილის თქმით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, 1-ელი სექტემბრიდან თითოეულ ბავშვს მერია გამოუყოფს 800 ლარს და აღსაზრდელებს შესაძლებლობა ექნებათ, ამ ვაუჩერით კერძო ბაღებშიც დარეგისტრირდნენ. ამით მოხდება სახელმწიფო დაქვემდებარებაში არსებული ბაღების განტვირთვაც.

ამასთან, ჰაპუნა ჰეტრიაშვილის განცხადებით, წელს ბაღების მშენებლობისთვის 15 მილიონი ლარია გათვალისწინებული. თბილისში აშენდება 10 ახალი ბაღი. საბავშვო ბაღების შენობების

დიზაინი უკვე შერჩეულია. ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, გამოცხადდება ტენდერი და თბილისის სხვადასხვა რაიონში სექტემბრისთვის უკვე ახალი 10 საბავშვო ბაღი იფუნქციონირებს.

თბილისი მერია ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში არასამთავრობოების ჩართვას მიასალმება

2 თებერვალი

თბილისის მერია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დედაქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას მიესალმება.

დედაქალაქის მთავრობა მზად არის, ნებისმიერ დაინტერესებულ პირთან იმუშავოს, რათა ბიუჯეტთან დაკავშირებულ ყველა კითხვას ამომწურავად და სრულყოფილად გაეცეს პასუხი.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" და "სამართლებრივი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" მზადყოფნა გამოთქვეს, თბილისელების ინტერესების დაცვის მიზნით 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში ჩაერთონ და როგორც მერიასთან, ასევე საკრებულოსთან ითანამშრომლონ.

თბილისის მერია დედაქალაქის ბიუჯეტთან დაკავშირებით საკრებულოსგან წერილობით შენიშვნებს ელოდება

06 თებერვალი

როგორც თბილისის მერიის მოვალეობის შემსრულებელმა სევდია უგრეხელიძემ განაცხადა, მერია წერილობით შენიშვნებს განიხილავს და მათ შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს.

თბილისის მერიის მოვალეობის შემსრულებელის ინფორმაციით, დედაქალაქის მთავრობას ამ დრომდე წერილობით არც ერთი შენიშვნა არ მიუღია.

"რამდენადაც ვიცი, გულიყო ზუმბაძის ფრაქცია და ზოგიერთი კომისია შეჯერდა ცალკეულ მოთხოვნებზე, რომელსაც, როგორც გვპირდებიან, წერილობით მოგვანვდიან", - აღნიშნა სევდია უგრეხელიძემ.

თბილისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელზეც დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტი განიხილება, 12 თებერვალს არის ჩანიშნული.

რამაზ სულამანიძე - თუ თბილისის ბიუჯეტი არ დამტკიცდება, საბავშვო ბაღებში პრობლემები წარმოიქმნება

07 თებერვალი

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის, რამაზ სულამანიძის განმარტებით, საბავშვო ბაღების დაფინანსება თბილისში თებერვლის თვეშიც გაგრძელდება, თუმცა, თუ ბიუჯეტი არ დამტკიცდება, საბავშვო ბაღებს სერიოზული პრობლემები წარმოექმნება, - ამის შესახებ რამაზ სულამანიძემ თბილისის საკრებულოში ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

ზოგადად, ამ ეტაპზე ბაღების ფუნქციონირების პრობლემა არ დგას, თებერვლის თვეშიც ანალოგიურად დაფინანსდება ბაღები და რაიმე პრობლემას ამ მხრივ არც ველოდებით. თუმცა, მომავალში, თუ ბიუჯეტი არ დამტკიცდება, რამდენიმე თვეში ბაღებში პრობლემები წარმოიქმნება", - აღნიშნა რამაზ სულამანიძემ.

თბილისში 600 ათასი ადამიანის მგზავრობის საფასურის დაფარვა სხვა პროექტების ხარჯზე მოხდება

07 თებერვალი

თბილისის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, თებერვლის ბოლოდან 600 ათასი პირის მგზავრობის ხარჯის დაფარვა სხვა პროექტების ხარჯზე მოხდება. ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა, ანა კობახიძემ განუცხადა.

კობახიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, ავტობუსების შესაძენად ტენდერი თავიდან გამოცხადდება. ამასთან, მისივე ინფორმაციით, ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში თებერვლის ბოლოდან პრობლემები შეიქმნება 600 ათასი პირის მგზავრობის შეტავათის დასაფარად.

სევდია უგრეხელიძე - მერია მზად არის საკრებულოს ყველა გონივრული წინადადება გაითვალისწინოს

07 თებერვალი

მერია მზად არის ბიუჯეტთან დაკავშირებით საკრებულოს ყველა გონივრული წინადადება გაითვალისწინოს, - ამის შესახებ დედაქალაქის მთავრობის სხდომის დაწყებისას თბილისის მერიის მოვალეობის შემსრულებელმა, სევდია უგრეხელიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, დროის სიმცირის გამო, მერია საკრებულოს წინადადებების მისაღებად შაბათ-კვირასაც იმუშავებს. "ვინაიდან 12 თებერვალს დანიშნულია საკრებულოს სხდომა და დრო ცოტაა, ჩვენ გამოვდივართ ინიციატივით, რომ ვიმუშაოთ შაბათ-კვირასაც, რათა მივიღოთ შესაბამისი დოკუმენტი, თუ იქნება გამოგზავნი-

ლი და შემდეგ ეს განვიხილოთ. 12 თებერვლისთვის მზად ვიქნებით წარვადგინოთ ბიუჯეტი საკრებულოში, ყველა შენიშვნის გათვალისწინებით", - განაცხადა სევდია უგრეხელიძემ.

საარაბულო მერიას ბიუჯეტთან დაეხმობა შინაგარეული უსამართლო განხილვით

11 თებერვალი

თბილისის მერიის განცხადებით, მერიაში 10 იანვარს დღის ბოლოს შევიდა საკრებულოს რამდენიმე ფრაქციისა და კომისიის 10 სხვადასხვა წერილი, სადაც „ქართული ოცნების“ უმრავლესობის წევრების სურვილებია ასახული.

"ჩვენთვის გაურკვეველია უჭერს თუ არა მთლიანად „ქართული ოცნების“ უმრავლესობა ამ წინადადებას მხარს თუ ეს ცალ-ცალკე განსახილველი მოსაზრებებია. შესაბამისად, საინტერესოა, მაგალითად, ფრაქცია „ქართული ოცნება - თბილისელები“ უჭერს მხარს თუ არა ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წინადადებას." - ნათქვამია მერიის განცხადებაში.

განცხადების მიხედვით, დეპუტატები ითხოვენ ჯამში 143 მილიონის მოცულობით სხვადასხვა პროექტების დაფინანსებას, ისე რომ არ უთითებენ თუ რომელ სოციალურ ან/და ინფრასტრუქტურულ პროგრამას უნდა მოაყლდეს ამ ოდენობით დაფინანსება.

მათი თქმით, ეს არ შეიძლება განიხილოს როგორც შენიშვნები ბიუჯეტის პროექტის მიმართ და მხოლოდ უმრავლესობის დეპუტატების სურვილების გამოხატვად შეიძლება მივიჩნიოთ.

"მიუხედავად ყველაფრისა, თბილისის მერია სრული სერიოზულობით განიხილავს ათივე წერილს და ეცდება

მაქსიმალურად გაითვალისწინოს საკრებულოს უმრავლესობის დეპუტატების სურვილები, ისე რომ ამით არ დაზარალდეს თბილისელები და თბილისის ინტერესები." - ნათქვამია განცხადებაში.

სევდია უგრეხელიძე - თბილისის მერიამ ბიუჯეტის პროექტში საარაბულოს უმრავლესობის ყველა შენიშვნა გაითვალისწინა

11 თებერვალი

თბილისის მერიამ 2014 წლის ბიუჯეტის პროექტში დედაქალაქის საკრებულოს უმრავლესობის ყველა შენიშვნა გაითვალისწინა. ამის შესახებ თბილისის მერიის მოვალეობის შემსრულებელმა სევდია უგრეხელიძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა.

მისი თქმით, დღევანდელი მთავრობის სხდომის ძირითადი საკითხი ბიუჯეტის პროექტია, რომელიც კიდევ ერთხელ განახლდა და მასში გათვალისწინებულია თბილისის საკრებულოს უმრავლესობის მიერ მოწოდებული ყველა შენიშვნა.

რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებას უნდობლობის თაობაზე, მერიის მოვალეობის შემსრულებლის თქმით, საკრებულოს უმრავლესობას ეს საფუძველიც გამოეცლება.

"ვინაიდან ბიუჯეტის დამტკიცების შემთხვევაში მზად ვართ, სინქრონულად გადადგეს ჩვენი მთავრობა თუ გადადგება საკრებულოს თავმჯდომარე და "ნაციონალური მოძრაობიდან" "ქართულ ოცნებაში" გადაბარებული წევრები, რომლებმაც ამის შედეგად აღბათ დიდი სიკეთე მიიღეს. ჩვენ ვვჯერა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს უმრავლესობა არ შეირცხვენს თავს, დაეთანხმებიან ბიუჯეტს და ამის

შემდეგ ყველაფერი დანყნარდება თბილისელების საკეთილდღეოდ, მათ სასარგებლოდ და დამთავრდება ეს ძალიან უხერხული კინკლაობა", - აღნიშნა სევდია უგრეხელიძემ.

საარაბულოს უმრავლესობამ დედაქალაქის 2014 წლის ბიუჯეტის ახალი პროექტი დაინშა

12 თებერვალი

თბილისის საკრებულოს უმრავლესობამ დედაქალაქის 2014 წლის ბიუჯეტის ახალი პროექტი დაინშა. თბილისის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის ილია ათანასოვის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი 65 მილიონი ლარით არის გაზრდილი და იგი 850 მილიონ ლარს შეადგენს. ათანასოვმა სხდომაზე აღნიშნა, რომ 65 მილიონი ლარის ბიუჯეტი, ძირითადად, არაფინანსური აქტივობის კლების ხარჯზე, ანუ პრივატიზაციიდან შესული თანხებით გაიზრდება. ამ განცხადებას სხდომაზე დავა და სიტყვიერი შეჯამება მოჰყვა.

მერიის მიერ წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, "ნაციონალური მოძრაობა" განახლებული თბილისის" თავმჯდომარე თამაზ შოშიაშვილი იცავდა, რის გამოც უმრავლესობის წევრმა მიხეილ ქავთარაძემ მას უოლ სტრიტის ფინანსური მგელი, ჰარი გუდინი და ილუზიონისტი უწოდა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა კი ბიუჯეტის პროექტს გაუხატურებული უწოდა და აღნიშნა, რომ ეს ბიუჯეტი თუ დამტკიცდა, დაახლოებით 50 მილიონი ლარის გარღვევაა მოსალოდნელი. სხდომის ბოლოს, ირაკლი შიხიაშვილმა განცხადება გააკეთა. მან მადლობა გადაუხადა ილია ათანასოვს ბიუჯეტის

პროექტის წარდგენისთვის და დასძინა, რომ ამ ბიუჯეტმა "ნაციონალური მოძრაობა" ბოლომდე ამხილა. შიხიაშვილი მიიჩნევს, რომ თბილისის მერს სურს ბიუჯეტი მხოლოდ ფურცელზე არსებობდეს და პროგრამების შესრულება მხოლოდ დაპირებებად დარჩეს.

მან ბიუჯეტის პროექტს დაგეგმილი საბოტაჟი უწოდა იმ ხელისუფლების მიმართ, რომელიც თბილისის მერიის ამჟამინდელი ხელისუფლების შემყვიდრე იქნება. ირაკლი შიხიაშვილის თქმით, ამ ბიუჯეტის ავტორები გიგი უგულავა, სევდია უგრეხელიძე და ირაკლი აბესაძე არიან და მათ მოსახლეობის სახელით საუბრის უფლება არ აქვთ.

საქრებულოს თავმჯდომარის თქმით, ყველა საბიუჯეტო განხილვაზე ბიუჯეტის პროექტი სხდომის წინ მინიმუმ 50-60 მილიონი ლარით იზრდება, რაც მარაზმია.

"ამ მარაზმს წერტილი უნდა დაესვას. ან გადადგებიან, ან იმის ხარჯზე, რომ ეგენი წავიდნენ, ჩვენც გადავდგებით, მაგრამ ამ ბიუჯეტის პროექტს მხარს არ დავუჭერთ", - აღნიშნა ირაკლი შიხიაშვილმა.

თბილისის მერია საკრებულოს ბიუჯეტის ყველა მუხლის 10 %-ით შემცირებას სთავაზობს

12 თებერვალი

თბილისის მერია საკრებულოს თავმჯდომარეს და უმრავლესობას სთავაზობს, რომ ალტერნატივის სახით ბიუჯეტის პროექტში ყველა მუხლის 10 %-ით შემცირდეს. ამის შესახებ ნათქვამია მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მთავრობამ ბიუჯეტის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტში სრულად ასახა საკრებ-

ულოს „ქართული ოცნების“ უმრავლესობის სურვილები, საკრებულოს თავმჯდომარემ და უმრავლესობის წევრებმა, ამჯერად ეჭვი შეიტანეს თბილისის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების რეალობაში და ახლა ამ მიზეზით განაცხადეს უარი მხარი დაუჭირონ თბილისის ბიუჯეტს.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მთავრობა მზად არის პასუხისმგებლობა აიღოს წარდგენილი ბიუჯეტის შესრულებაზე, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ საკრებულოს უმრავლესობა დღეს თბილისის ბიუჯეტს არ დაამტკიცებს. იმისათვის, რომ თბილისელები ყვლავ არ დარჩნენ ბიუჯეტის დაუმტკიცებლობით გამონვეული პრობლემების პირისპირ, ჩვენ საკრებულოს თავმჯდომარეს და უმრავლესობას ვთავაზობთ, რომ ალტერნატივის სახით დღეს სხდომაზე განხილული იქნას თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი, სადაც ყველა მუხლი პროპორციულად იქნება შემცირებული 10 %-ით, გარდა აუცილებელი ხარჯებისა. ბიუჯეტის პროექტის ამგვარი შემცირება, მოხსნის ყოველგვარ ეჭვს 2014 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების რეალურობასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ვთხოვთ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს განიხილოს ჩვენი ეს წინადადება და მხარი დაუჭიროს ბიუჯეტის ამგვარ პროექტს, სადაც ერთის მხრივ გათვალისწინებული იქნება მათი ყველა სურვილი და მეორე მხრივ არ იარსებებს ეჭვი მის შესრულებასთან დაკავშირებით", - ნათქვამია მერიის განცხადებაში.

ირაკლი შიხიაშვილი - თბილისის მერიის ერთადერთი სერვილი ბიუჯეტის ჩაგდება

12 თებერვალი

თბილისის საკრებულოში ბიუროს სხდომა გაიმართა. ირაკლი შიხიაშვილმა ბიუროს წევრებს საკრებულოში განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ შეახსენა და საკრებულოს წევრებს განმარტება მისცა მერიის მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე, რომელიც ითვალისწინებს ყველა პროგრამის 10-10%-ით შემცირებას და ამის ხარჯზე საკრებულოზე წარდგენილი წინადადებების გათვალისწინებას 2014 წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, თბილისის მერიის ერთადერთი სერვილი მხოლოდ ბიუჯეტის ჩაგდებაა და არსებული ქალაქის მთავრობა ნდობას არ იმსახურებს. ირაკლი შიხიაშვილმა აღნიშნა, რომ ეს ბიუჯეტი არ შეიძლება იყოს მიღებული და არც ერთი ჭკუათმყოფელი ამ ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერს. შიხიაშვილმა აღნიშნა, რომ მერიიდან მიიღო ზარები იმასთან დაკავშირებით, რომ 10-10%-ით შემცირდეს პროგრამები და ამით დაკმაყოფილდეს საკრებულოს მოთხოვნები. მისივე თქმით, დედაქალაქის მთავრობის მიზანი ბიუჯეტის ხელში ჩაგდებაა და რომ ქალაქის მთავრობა ნდობას არ იმსახურებს.

უმცირესობის წევრმა, ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა - განახლებული თბილისის" თავმჯდომარე თამაზ შოშიაშვილმა ბიუროს წევრებს შესთავაზა იმსჯელონ თბილისის მერიის მიერ შეთავაზებულ ახალ წინადადებაზე, რომელიც პროგრამების 10-10%-ით შემცირებას და საკრებულოს უმრავლესობის წევრების მიერ წარდგენილი წინადადებების

დაფინანსებას ისახავს მიზნად. შოშიაშვილის წინადადებაში ირაკლი შიხიაშვილი გააღიზიანა და მან აღნიშნა, რომ ეს არის არასერიოზული შეთავაზება მერიის მხრიდან და ასეთ ცვლილებას მერია ბიუჯეტში საკრებულოს სხდომის დაწყებამდე ორი საათით ადრე არ უნდა აკეთებდეს.

თბილისის საკრებულო 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი მეორედ არ დაამტკიცა

12 თებერვალი

თბილისის საკრებულომ 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი არ დაამტკიცა. საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის პროექტის მიღებას მხარი დაუჭირა 17-მა დეპუტატმა, წინააღმდეგ წავიდა 22 დეპუტატი. საკითხის მიღებისათვის ქვორუმი შეადგენდა 24-ს. სულ კენჭისყრაში საკრებულოს 39 დეპუტატი მონაწილეობდა.

როგორც საკრებულოს სხდომის დასასრულს ირაკლი შიხიაშვილმა განაცხადა, თბილისის 2014 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი აბსურდია და მისი მიღება გაუმართლებელია. მისივე თქმით, დისკრედიტირებული მთავრობა უნდა წავიდეს.

შიხიაშვილის შეფასებით, რეალურად ეს არის უტოპიური ბიუჯეტი, რისი შესრულებაც მოუწევს დედაქალაქის ახალ მთავრობას, რომელიც მაისის შემდეგ უნდა მოვიდეს არჩევნებით ხელისუფლებაში. "ეს იქნება თბილისის ახალი მთავრობისთვის დიდი ტვირთი. იგი ვერ შეასრულებს ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულ ამოცანებს და მოსახლეობას დიდი პრობლემები შეექმნება", - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ.

ბიუჯეტი განსახილველად სხდომაზე გაიტანა თბილისის

მერის მოადგილემ ჰაპუნა ჰეტიაშვილმა. მისი თქმით, საკრებულოს მიერ შეთავაზებული 55 თემა აღნიშნულ პროექტში გათვალისწინებულია. დაფინანსების წყაროს შესახებ კი აღნიშნა, რომ პრივატიზაციის მეშვეობით თანხების მობილიზაცია შესაძლებელია და ეს 850 მილიონიანი ბიუჯეტი ბლეთი არ არის.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დაახლოებით 2 საათს გაგრძელდა. მასზე 7 საკითხი იყო გატანილი. ბოლო საკითხად განიხილებოდა დედაქალაქის ბიუჯეტი. საკრებულომ თბილისის მერიის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი უკვე მეორედ ჩააგდო. კანონის თანახმად, დედაქალაქის ახალი, 2014 წლის ბიუჯეტის განხილვა 11 მარტამდე უნდა მოხდეს.

თბილისის მერია ბიუჯეტის ახალ პროექტს მოსახლეობასთან ერთად შეადგენს

12 თებერვალი

თბილისის მერია ბიუჯეტის ახალ პროექტს მოსახლეობასთან ერთად შეადგენს. ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა სევდია უგრეხელიძემ განუცხადა.

მისი თქმით, ორ თვეზე მეტია თბილისელები აკვირდებიან საბიუჯეტო ეპოპეას, რომელიც საკრებულოში მიმდინარეობს. უგრეხელიძის განცხადებით, როდესაც საკრებულოს თავმჯდომარემ, ირაკლი შიხიაშვილმა დღეისთვის დანიშნა საკრებულოს სხდომა, მერიამ ყველა ძალა მოიყრიბა, იმუშავა, რათა წარედგინა ისეთი ბიუჯეტი, რომელიც საკრებულოს უმრავლესობას მოეწონებოდა, "მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს იყო სრულიად ფუჭი შრომა".

მისივე თქმით, თუ პირველ

ჯერზე მათ საკრებულოს უმრავლესობამ შენიშვნები გაერთიანებული სახით მიაწოდა, გუშინწინ სალამოს მერიამ მიიღო 10 სხვადასხვა წერილი.

მისივე თქმით, თბილისელებმა დღეს ნახეს, რომ "გაბრაზებული ბრძანდებოდა "ქართული ოცნების" უმრავლესობა, თუ რატომ შევძელით ჩვენ ბიუჯეტში ყველაფრის გათვალისწინება". "დიახ, ჩვენ შევძელით, იმიტომ, რომ გვყავს პროფესიონალები. ამის შედეგად ცხადი გახდა, რომ ისინი ბიუჯეტთან მიმართებაში არავითარ სხვა გონივრულ მოქმედებას არ აპირებენ, მის დამტკიცებას არ აპირებენ", - განაცხადა უგრეხელიძემ.

აქედან გამომდინარე, მისი თქმით, მერია გადადის მუშაობის სხვა რეჟიმზე. "ჩვენ ვხედავთ, რომ მათთან კონსულტაციებს აღარავითარი აზრი აღარ აქვს. ცხადზე უცხადესია, რომ თვით საკრებულოს თავმჯდომარე არის ჰაიკი ცენტრალური ხელისუფლების ხელში. ჩვენ გადავწყვიტეთ დავეთათბიროთ ხალხს და შევადგინოთ კიდევ უფრო უკეთესი ბიუჯეტი, ვიდრე ეს იყო მანამდე. მე შეგახსენებთ, რომ ჩვენი ყველა ბიუჯეტი იყო მხარდი, უფრო უკეთესი და უკეთესი. ახლა, როდესაც დავეთათბირებით მოქალაქეებს, შევალთ ყველა უბანში, იმედი მაქვს, რომ უფრო მეტ ინფორმაციას აკრეფთ და შევძლებთ, რომ კიდევ უფრო უკეთესი შევადგინოთ, თუმცა არ ვართ დარწმუნებული, რომ იგი მიღებული იქნება. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვაჩვენებთ, როგორი უნდა იყოს ხალხთან შეთანხმებული ბიუჯეტი", - აღნიშნა მერის მოვალეობის შემსრულებელმა.

თბილისის საკრებულომ 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი მეორედ არ დაამტკიცა. საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის პროექტის მიღებას მხარი დაუჭირა 17-მა დეპუტატმა,

წინააღმდეგ წავიდა 22 დეპუტატი. საკითხის მიღებისათვის ქვორუმი შეადგენდა 24-ს. სულ ენ-ჭისყრაში საკრებულოს 39 დეპუტატი მონაწილეობდა.

თბილისის მერია 11 მარტს საჩრებულოს ბიუჯეტის ახალ პრო-ექტს წარუდგენს

17 თებერვალი

როგორც მერის მოადგილემ ჰაპუნა პეტრიაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, პროექტის წარდგენამდე გაიმართება განხილვები იმ ბუნეფიციარებთან, რომლებიც ბიუჯეტის სხვადასხვა პროექტით სარგებლობენ.

"ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში 2014 წელი თბილისისთვის დაქარგული იქნება და არ განხორციელდება ახალი პროექტები", - აცხადებს ჰაპუნა პეტრიაშვილი.

ამავდროულად, მისივე თქმით, ფუნქციონირებას არ შეწყვეტს ისეთი სამსახურები, როგორიცაა დასუფთავება, გარე განათება, საბავშვო ბალები, საგანგებო და სასწრაფო დახმარების ბრიგადები და ა.შ.

"11 მარტს ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში მისი მიღება ივლისამდე აღარ მოხერხდება" - დასძინა პეტრიაშვილმა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2014 წლის სამოქმედო გეგმა



2014 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი 875 მილიონ ლარს შეადგენს. აქედან საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე დაიხარ-ჯება 501 მილიონი ლარი, რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის - 187 მილიონი ლარი, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის - 131 მილიონი ლარი, იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისთვის - 50 მილიონი ლარი; რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და მართ-

ვისთვის - 5 მილიონი ლარი.

გარდა ამისა, დამატებითი დაფინანსება გამოუყო:

- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას - 16 მილიონი ლარი;
- "თეთნულდ დეველოპმენტს" 10,6 მილიონი ლარი;
- მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას - 10 მილიონი ლარი.

სულ: 36,6 მილიონი ლარი.

სერვისის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2014 წელს დაგეგმილია:

- მინიმალურად აუცილებელი სარეკომენდაციო ხასიათის სტანდარტების კონტროლი და ახალი რეგულაციების მომზადება;
- სატენდერო პირობებში უფრო მკაცრი და მკაფიო ხარისხის მოთხოვნების ჩადება;
- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან თანამშრომლობით ხარისხის კონტროლის გაძლიერება;
- ელექტრონული გეოინფორმაციული სისტემის (GIS) შემდგომი განვითარება.

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა

2014 წელს საქართველოს პარლამენტი მეორე და მესამე მოსმენით უნჩეს უყრის თვითმმართველობის კოდექსს. რეფორმის შედეგად, გაიზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა, ხოლო სოფლებისგან ჩამოყალიბდება თემები, რომლის ბაზაზეც ფორმირდება მუნიციპალიტეტები. მერებს და გამგებლებს პირდაპირი წესით აირჩევს ხალხი. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს მიეცემა ფული და უფლებამოსილება, რათა საკუთარი პრობლემების გადაჭრა თვითონვე შეძლოს. გაიზრდება მოქალაქეთა ჩართულობის დონე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში; გაუმჯობესდება საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი;

რეგიონული განვითარების სტრატეგიები

2013 წელს მოხდა 7 რეგიონისთვის განვითარების სტრატეგიების შემუშავება, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა. 2014 წელს მოხდება შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება.

გზებისა და ნაგებობების რეაბილიტაცია-მშენებლობა

მიმდინარე წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება 250 კილომეტრ საავტომობილო გზას და 30 საავტომობილო ხიდს. აგრეთვე, აშენდება 5 ახალი ხიდი.

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა

ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე სამუშაოები ერთდროულად წარიმართება 7 მონაკვეთზე, ჯამში 140 კილომეტრზე.

- დაიწყება აგარა ოსიურის მონაკვეთის მშენებლობა - სამშენებლო გზის სიგრძე შეადგენს 12 კილომეტრს. ამჟამად მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები, რომლის დასრულების შემდეგაც დაიწყება მშენებლობა;
- დაიწყება სამტრედია-გრიგოლეთის გზის მშენებლობა - სამშენებლო გზის სიგრძე 30 კილომეტრია. სატენდერო პროცედურები დასრულდა, ამჟამად მიმდინარეობს მომდევნო მონაკვეთის პროექტირება;
- დაიწყება თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობა - სამუშაოების განახორციელებს

ტენდერში გამარჯვებული კომპანია "სინოჰიდრო კორპორეიშენ ლიმიტედი". სამუშაოები დაიწყება პირველ და მესამე მონაკვეთებზე, ხოლო მეორე მონაკვეთზე დეტალური პროექტის მომზადება დასრულებულია და გადაგზავნილია დონორ ორგანიზაციასთან (აზიის განვითარების ბანკი). დონორის თანხმობის შემდეგ გამოცხადდება ტენდერი; პირველი და მესამე მონაკვეთების ბიუჯეტი 88,761,128.95 ლარია.

- **დასრულება რუისი-აგარის მონაკვეთის მშენებლობა** - 2014 წელს ბეტონის საფარი მოეწყობა 16 კილომეტრიან მონაკვეთზე. მოეწყობა 4 ხიდი, 2 ხიდი-ესტაკადა, 5 გზაგამტარი. პროექტის ღირებულება - 70,8 მილიონი ლარი;
- **დასრულება ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა** - 2013 წელს მოეწყობა 6,2 ბეტონის საფარი. გზის მშენებლობა დასრულებულია 2014 წელს, ჯამში აშენდება 3 ხიდი და 5 გზაგამტარი. სამშენებლო გზის სიგრძე 25,6 კილომეტრია, ხოლო პროექტის ბიუჯეტი 115 მილიონ ლარს შეადგენს.
- **გრძელდება ზესტაფონი-ქუთაისი-ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა** - 2013 წელს ქუთაისის შემოვლით გზაზე მოეწყობა 6,2 კილომეტრი ბეტონის საფარი. მთლიანობაში სამშენებლო გზის სიგრძე შეადგენს 32,5 კილომეტრს. ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა 2014 წელს დასრულებულია, ხოლო ზესტაფონი-ქუთაისის გზის მშენებლობა - 2015 წელს. პროექტის ჯამური ღირებულებაა 245,5 მილიონი ლარი;
- **გრძელდება ქობულეთის შემოვლითი გზის II ტოტის მშენებლობა** - სამშენებლო სამუშაოები 2013 წელს დაიწყო და 2016 წელს დასრულდება. მთლიანობაში აშენდება 16 ხიდი და 2 გვირაბი. პროექტის ჯამური ღირებულება 209,8 მილიონი ლარია;

იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა

- ზუგდიდსა და ფოთში აშენდება დევნილთა 15 საცხოვრებელი კორპუსი (ზუგდიდში რვა 356-ბინიანი კორპუსი, ხოლო ფოთში შვიდი 280-ბინიანი კორპუსი);
- გორის, ქარელის, ქასპისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში, მოხდება წყალსადენი სისტემისა (9 სოფელში) დრენაჟის (7 სოფელში) რეაბილიტაცია.

ამბულატორიების მშენებლობა

საქართველოს რეგიონებში აშენდება 81 ამბულატორია და 1 გადაუდებელი დახმარების ცენტრი. ამისათვის საქართველოს ბიუჯეტიდან გამოყოფილია 2,4 მილიონი ლარი.

წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია

- ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ ურედიტის სახით გამოყოფილი 40 მილიონი ევრო და გრანტის სახით გამოყოფილი 8 მილიონი ევრო მოხმარდება წყალმომარაგების გაუმჯობესებას. 25 ქალაქსა და 3 დაბაში მოხდება წყლის სისტემის რეაბილიტაცია.
- გაგრძელდება ქუთაისის, ანჯლიისა და ფოთის წყალმომარაგების 60-მილიონიანი პროექტი.
- გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ბიუჯეტით დამატებით 16 ქალაქში მოხდება წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რისთვისაც კომპანია 6,7 მილიონ ლარს დახარჯავს.

მყარი ნარჩენების მართვა

- ქვეყნის მასშტაბით უეთილმოეწყობა და გამართულ საექსპლუატაციო რეჟიმში შევა 8 ნაგავსაყრელი საგარეჯოში, მარნეულში, ქასპში, ხაშურში, თერჯოლაში, სამტრედიისში, ფოთსა და დუშეთში;
- შექმნილი იქნება ახალი ტექნიკა;
- დაიწყება იმერეთის ნაგავსაყრელის პროექტირება.

მესტიაში თეთნულდის სამთო-სათხილამურო ჟეოლოგიის განვითარების პროექტი

პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს საფრანგეთის მთავრობის მიერ სესხის სახით გამოყოფილ 18 მილიონ ევროს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოსაყოფ 40 მილიონამდე ლარს. სამთო-სათხილამურო ჟეოლოგიის მშენებლობის დასრულება იგეგმება 2016 წლისათვის. პირველადი პროექტის მიხედვით განსაზღვრულია ჯამში 3 საბაგიროს მშენებლობა.

„საუკუნის პროექტები“

- არხოტში დაიწყება 25-კილომეტრიანი გზის მშენებლობა. გზა პირიქითა და პირაქეთა ხევისკენ ერთმანეთს დააკავშირებს. მშენებლობა 2014 წლის გაზაფხულზე დაიწყება. ამ დრომდე იქ მხოლოდ საცალფეხო ბილიკი არსებობს და ადგილობრივებს, რომლებმაც მხარე უგზოობისა და პირობების არქონის გამო დატოვეს, საკუთარ სახლში მისვლა, პრაქტიკულად, არ შეუძლიათ. საავტომობილო გზის გაჭრის შემდეგ მშობლიურ მხარეში დაბრუნების მზაობა უკვე 32 ოჯახმა გამოთქვა.

- დაიგეგმა საჩხერე-შქმერი-ონის გზის მშენებლობაც. საჩხერე-შქმერის გზის მონაკვეთზე პირველმა ტრაქტორმა 2013 წლის ოქტომბერში უკვე გაიარა. აღნიშნული პროექტის განხორციელებით, თბილისიდან ონამდე გზა ორსაათნახევარში დაიფარება. რაც მთავარია, სიცოცხლე დაუბრუნდება ზემო რაჭის პრაქტიკულად დაცლილ ხეობას. ამ მონაკვეთზე გზის გაყვანა არაერთ ახალ სოციალურ და ეკონომიკურ პერსპექტივას გააჩენს.

გამჭვირვალობა და საზოგადოების ინფორმირებულობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის უწყების გამჭვირვალობა და საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულება კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულ რჩება. ამისათვის სამინისტრო საკუთარ ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოაქვეყნებს ყველა საჯარო ინფორმაციას; გამართავს შეხვედრებს მედია, არასამთავრობო და ბიზნეს-ორგანიზაციებთან; კვლავ მოხდება სამინისტროში მოქალაქეთა მიღება; სამინისტრო პერიოდულად ანგარიშით წარსდგება დაინტერესებული საზოგადოების წინაშე.

მოქმედი სამთავრობო კომისიების მუშაობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 2014 წელსაც უხელომდღვანელებს შემდეგ სამთავრობო სტრუქტურებს:

- საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია
- მოსახლეობის აღწერის სამთავრობო საკოორდინაციო კომისია
- ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემათა შემსწავლელი სამთავრობო კომისია
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია
- მიუსაფართა პრობლემების მოგვარებაზე მომუშავე უწყებათმორისი კომისია

2014 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 250 მილიონ ლარს შეადგენს

2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელ პროექტებს თავად მუნიციპალიტეტებმა შეიმუშავებენ და მათი პრიორიტეტულობაც თავადვე განსაზღვრავენ.

მიმდინარე წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით დასაფინანსებელი პროექტებიდან პრიორიტეტული გზის საფარის მოწესრიგებაა. აგრეთვე, სხვადასხვა რეგიონებში

დაგეგმილია ეზოების კეთილმოწყობა, საჯანაღიზაციო სისტემების გამართვა, საფეხბურთო სტადიონებისა და საფეხმავლო ბილიკების მოწყობა, ამხანაგობების მიერ შემუშავებული წინადადებების თანადაფინანსება, საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია და სხვა.

რეგიონების მიხედვით დაფინანსებული პროექტები:

ჯახეთი



რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ უკვე დაამტკიცა 85 პროექტი, რომელიც 2014 წელს ჯახეთში განხორციელდება.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია (43 პროექტი), კულტურის სახლისა და სხვა შენობების რეაბილიტაცია (3 პროექტი), წყლისა და ჯანაღიზაციის მოწესრიგება (26 პროექტი), ნაპირსამაგრი სამუშაოები (13 პროექტი) სანაღვრე არხებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

მთლიანობაში, 2014 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ჯახეთის რეგიონში 95 მილიონ ლარზე მეტს დახარჯავს, ხოლო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტები ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დამატებით 17,5 მილიონ ლარს მიიღებენ, რომლითაც 85 პროექტს განახორციელებენ. ჯამში, ჯახეთში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 112 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

იხილეთ ლინკი

<http://static.mrdi.gov.ge/52e8bced0cf20c165d-71f20c.pdf>

სამეგრელო-ზემო სვანეთი

რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ უკვე დაამტკიცა რეგიონში განსახორციელებელი 19 941 389 ლარის ღირე-



ბულების 39 პროექტი. აქედან 18 პროექტით გათვალისწინებულია გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია, 7 პროექტით - წყლის, სანაღვრე არხებისა და ჯანაღიზაციის მოწესრიგება; 3 პროექტით - საბავშვო ბაღებისა და კულტურის სახლის რეაბილიტაცია; 5 პროექტით - კორპუსების გადახურვა, ლიფტებისა და ეზოების კეთილმოწყობა; 6 პროექტით - სხვადასხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

ჯამში, 2014 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 106 539 789 ლარი დაიხარჯება. აქედან, 86 598 400 ლარის სამუშაოების დაფინანსებას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უზრუნველყოფს. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კი სამეგრელო - ზემო სვანეთი დამატებით 19 941 389 ლარს მიიღებს.

იხილეთ ლინკი

<http://static.mrdi.gov.ge/52e8bd8f0cf-20c165d71f213.pdf>

იმერეთი



რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ უკვე დაამტკიცა რეგიონში განსახორციელებელი 31 133 875 ლარის ღირებულების 114 პროექტი.

აქედან 87 პროექტით გათვალისწინებულია გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია, 14 პროექტით - საბავშვო ბაღებისა და სხვა შენობების რეაბილიტაცია; 3 პროექტით - წყლის სისტემებისა და ჯანაღიზაციის მოწესრიგება; 2 პროექტით - ნაპირსამაგრი სამუშაოები; 8 პროექტით - დასასვენებელი პარკების, გარეგანათებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

ჯამში, 2014 წელს იმერეთის რეგიონში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 251 286 075 ლარი დაიხარჯება. აქედან, 220 152 200 ლარის სამუშაოების დაფინანსებას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უზრუნველყოფს. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კი იმერეთი დამატებით 31 133 875 ლარს მიიღებს.

იხილეთ ლინკი

<http://static.mrdi.gov.ge/52e8bcfc0cf20c165d71f20d.pdf>

შიდა ქართლი

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ უკვე დაამტკიცა რეგიონში განსახორციელებელი 12 662 862



ლარის ღირებულების 19 პროექტი. აქედან 9 პროექტით გათვალისწინებულია გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია; 7 პროექტით - სარწყავი და სასმელი წყლის, ასევე, ჯანალიზაციის მოწესრიგება; 3 პროექტით - სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

ჯამში, 2014 წელს შიდა ქართლის რეგიონში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 121 724 262 ლარი დაიხარჯება. აქედან, 109 061 400 ლარის სამუშაოების დაფინანსებას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უზრუნველყოფს. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კი შიდა ქართლი დამატებით 12 662 862 ლარს მიიღებს.

იხილეთ ლინკი

<http://static.mrdi.gov.ge/52e8bd0f0cf20c165d71f20e.pdf>

გურია



რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ უკვე დაამტკიცა რეგიონში განსახორციელებელი 8 490 627 ლარის ღირებულების

28 პროექტი. აქედან 15 პროექტით გათვალისწინებულია გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, 4 პროექტით - წყლისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგება; 8 პროექტით - საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია; 1 პროექტით - გარე განათების მოწესრიგება.

ჯამში, 2014 წელს გურიის რეგიონში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 47 533 127 ლარი დაიხარჯება. აქედან 39 042 500 ლარის სამუშაოების დაფინანსებას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უზრუნველყოფს. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კი გურია დამატებით 8 490 627 ლარს მიიღებს.

იხილეთ ლინკი

<http://static.mrdi.gov.ge/52e8bcda0cf20c165d71f20b.pdf>

რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი

რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ უკვე დაამტკიცა რეგიონში განსახორციელებელი 4 548 315 ლარის ღირებულების 31 პროექტი. აქედან 2 პროექტით გათვალისწინებულია გზების რეაბილიტაცია, 16 პროექტით - საბავშვო ბაღების, ბიბლიოთეკისა და კულტურის სახლის რეაბილიტაცია; 10 პროექტით - წყლის სისტემებისა და ჯანალიზაციის მოწესრიგება; 3 პროექტით - ნაპირსამაგრი და სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

იხილეთ ლინკი

<http://static.mrdi.gov.ge/52e8bd790cf20c165d71f212.pdf>

მცხეთა-მთიანეთი



საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ უკვე დაამტკიცა რეგიონში განსახორციელებელი 10 238 971 ლარ-

ის ღირებულების 40 პროექტი. აქედან 5 პროექტით გათვალისწინებულია გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია, 28 პროექტით - წყლის სისტემების რეაბილიტაცია, 2 პროექტით - ნაპირსამაგრი სამუშაოები, სანიტარულ არხების მოწესრიგება, 5 პროექტით - კულტურის სახლისა და სხვა შენობების რეაბილიტაცია.

იხილეთ ლინკი

<http://static.mrdi.gov.ge/52ea3b110cf26adf421795ec.pdf>

სამცხე-ჯავახეთი

მიმდინარე წელს, პირველ ეტაპზე, სამცხე-ჯავახეთში სულ 11 570 015 ლარის ღირებულების 25 პროექტი დამტკიცდა. 18 პრო-



ექტი - გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია; 2 პროექტი - წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; 5 პროექტი - ეზოებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

იხილეთ ლინკი

<http://static.mrdi.gov.ge/52e8bd520cf20c165d71f211.pdf>

ქვემო ქართლი



რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ უკვე დაამტკიცა 49 პროექტი, რომელიც 2014 წელს ქვემო ქართლში განხორციელდება. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდება გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია (14 პროექტი); საბავშვო ბაღებისა და სხვა შენობების რეაბილიტაცია (4 პროექტი); წყლისა და კანალიზაციის მოწესრიგება (29 პროექტი); სხვადასხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (2 პროექტი).

იხილეთ ლინკი

<http://static.mrdi.gov.ge/52e8bd2d0cf20c165d71f20f.pdf>

მთავრობამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაამტკიცა

კრებები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაიმართება და ადგილობრივ მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა, თავად გადაწყვიტოს, თუ რისი მოწესრიგება ესაჭიროება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანამშრომლებმა ბოლო ორი კვირის განმავლობაში სოფლის რწმუნებულები დაატრენინგეს, რათა მათ პროგრამის ეფექტურად აღმინისტრირება შეძლონ. მათ მკაფიოდ განემარტათ, რომ გადაწყვეტილება მოსახლეობამ უნდა მიიღოს და სოფლის რწმუნებულებამ მხოლოდ ტექნიკური სამუშაო უნდა შეასრულონ.

თუმცა, პროცესის სწორად წარმართვისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თავად მოქალაქეთა აქტიურობაა. ამიტომაც, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სოფლის ქრებებში და გადაწყვეტილება თანასოფლელებთან ერთად თავად მიიღონ.

გარდა ამისა, პროგრამის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, სამინისტრო მიმართავს ადგილობრივ არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებს, სამინისტროსთან ერთად, აქტიურად ჩაერთონ სოფლის ქრებებისა და, ზოგადად, პროგრამის მონიტორინგის პროცესში, რათა ის გამჭვირვალედ წარმართოს, რეალურად მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება და ადგილობრივი ხელისუფლების ცალკეულმა თანამდებობის პირებმა თავად არ გადაწყვიტონ პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების საკითხი.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი პროექტების განსახორციელებლად 50 მილიონი ლარი გამოიყო. პროგრამით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში მოხდება სოფლების პირველი რიგის საჭიროებების დაქმნა.

პროგრამის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, 2014 წელს მისი ადმინისტრირების წესში ცვლილებები შევიდა. ეროვნულ, პროგრამით გამოყოფილი თანხების ხარჯვამ შეიძინა უფრო მიზანმიმართული ხასიათი. თანხა უნდა მოხმარდეს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას და/ან გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვას. რაც შეეხება ისეთ საჭიროებებს, როგორცაა: ისტორიული ძეგლების, სოციალურ-კულტურული და რელიგიური დანიშნულების ობიექტების რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და მომსახურების შექმნა, მათი დაფინანსება ხორციელდება სპეციალური სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში.

გარდა ამისა, მიმდინარე წელს მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მცირეკომლიანი სოფლების (რომლებიც, ძირითადად, მთიან რეგიონებში მდებარეობენ) ხვედრითი წილი და ასეთი სოფლების დაფინანსება გაიზარდა. ეს ცვლილება მეტ საშუალებას მისცემს აღნიშნულ სოფლებს, გააუმჯობესონ ინფრასტრუქტურა და ხელს შეუწყობს სოფლებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც შედეგად, შეანელებს არასასურველ მიგრაციულ პროცესებს.

პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დასრულდეს 2014 წელს. აღნიშნული ნორმა ხელს შეუწყობს პროგრამის განმახორციელებელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას და უფრო ხელშესახებსა და საგრძნობს გახდის მის შედეგებს სოფლის მოსახლეობისათვის.

ინფორმაცია სოფლის ქრებების თარიღების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ამ ბმულზე <http://www.mrdi.gov.ge/news/პროუქცეს/530ცად190ცფ2ა4j80ა3917ფფ>

მცირეკომლიანი სოფლებისთვის დაფინანსება გაიზარდა

იმ სოფლებისთვის, რომელთა მოსახლეობა 50 ადამიანზე ნაკლებია, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება წელს 1 102 000 ლარით გაიზარდა. ამის თაობაზე გადაწყვეტილება დღეს საქართველოს მთავრობის სხდომაზე იქნა მიღებული. საკითხი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მოამზადა.

დღეისთვის, მცირეკომლიანი 551 სოფელია ახმეტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რა-

ჭა-ლექსუმ-ქვემო სვანეთის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში.

მთავრობის გადაწყვეტილებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2014 წელს 49 951 407 ლარი გამოიყო.

ამ პროგრამით განსახორციელებელი პროექტები, როგორც ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, ისე სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მატალ შესაძლებლობას იძლევა.

სოფლები, სადაც 81 ახალი ამბულატორია აშენდება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ერთობლივად ახორციელებენ 81 ახალი ამბულატორიის მშენებლობის პროექტს.

ამბულატორიები მთელი საქართველოს მასშტაბით დამონტაჟდება, მათ შორის, ისეთ სოფლებში, სადაც დღემდე ამ ტიპის მომსახურება მოქალაქეებს არ გაეწეოდათ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მატალმთიან და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებს. ამჟამად ამბულატორიები დამონტაჟებულია ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რანჩვარში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ინგირსა და განმუხურში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოში და გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მუკუზანში.

ამბულატორიები დამონტაჟდება თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შალაურში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშნაარში, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში.

მთლიანობაში, საქართველოს მასშტაბით ამბულატორიები შემდეგ სოფლებში დამონტაჟდება:

№	რეგიონი	ქალაქი / მუნიციპალიტეტი	სოფელი
1	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ზუგდიდი	ინგირის თემი
2	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ზუგდიდი	განმუხური
3	სამეგრელო-ზემო სვანეთი	წალენჯიხა	საჩინოს თემი
4	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ჩხოროწყუ	ახუთის თემი
5	სამეგრელო-ზემო სვანეთი	აბაშა	ეწერი
6	სამეგრელო-ზემო სვანეთი	მარტვილი	იჩხური
7	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სენაკი	უშაფათი
8	სამეგრელო-ზემო სვანეთი	მესტია	უშგული
9	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ხობი	შავდელე
10	გურია	ოზურგეთი	დვაბზუ
11	გურია	ლანჩხუთი	აკეთი
12	გურია	ჩოხატაური	ერკეთი
13	კახეთი	გურჯაანი	მუკუზანი
14	კახეთი	სიღნაღი	მაშნაარი
15	კახეთი	ახმეტა	საქობიანო
16	კახეთი	თელავი	შალაური
17	კახეთი	დედოფლისწყარო	არბოშიკი

18	კახეთი	საგარეჯო	უდაბნო
19	კახეთი	ლაგოდეხი	კართუბანი
20	კახეთი	ყვარელი	კუჭატანი
21	ქვემო ქართლი	ბოლნისი	რანჩპარი
22	ქვემო ქართლი	მარნეული	ოფრეთი
23	ქვემო ქართლი	გარდაბანი	ნორიო
24	ქვემო ქართლი	დმანისი	ირგანჩაი
25	ქვემო ქართლი	თეთრიწყარო	ახალსოფელი
26	ქვემო ქართლი	წალკა	კობტა (ახალიკი)
27	იმერეთი	თერჯოლა	რუფოთი
28	იმერეთი	ხონი	საწულუკიძეო
29	იმერეთი	ხარაგაული	წიფა
30	იმერეთი	საჩხერე	გორისა
31	იმერეთი	ტყიბული	ხრესილი
32	იმერეთი	წყალტუბო	მექვენა
33	იმერეთი	ჭიათურა	მანდაეთი
34	იმერეთი	ზესტაფონი	აჯამეთი
35	იმერეთი	სამტრედია	საჯავახო
36	იმერეთი	ბაღდათი	ზედა დიმი
37	იმერეთი	ვანი	საპრასია
38	იმერეთი	საჩხერე	პერევი
39	აჭარის ა/რ	დაბა შუახევი	ხიჭაური
40	აჭარის ა/რ	დაბა ხულო	დიდაჭარა
41	აჭარის ა/რ	ქობულეთი	ჩოლოქის დასახლება
42	აჭარის ა/რ	ხელვაჩაური	შარაბიძეების თემი
43	აჭარის ა/რ	დაბა ქედა	დაბა ქედა
44	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	ლისი
45	მცხეთა-მთიანეთი	დუშეთი	ფასანაური
46	მცხეთა-მთიანეთი	დუშეთი	ჟინვალი
47	მცხეთა-მთიანეთი	ყაზბეგი, დაბა სტეფანწმინდა	გორისციხე
48	მცხეთა-მთიანეთი	თიანეთი	ნაქალაქარი
49	მცხეთა-მთიანეთი	წეროვანი	წეროვნის დევნილთა დასახლება
50	მცხეთა-მთიანეთი	წეროვანი	წეროვნის დევნილთა დასახლება
51	შიდა ქართლი	ქარელი	რუისი
52	შიდა ქართლი	გორი	ფლავი
53	შიდა ქართლი	გორი	ქვემო არცევი
54	შიდა ქართლი	გორი	აძვი
55	შიდა ქართლი	გორი	ჯარიაშენი
56	შიდა ქართლი	გორი	კირბალი
57	შიდა ქართლი	გორი	ხვითი
58	შიდა ქართლი	გორი	მეღვრეკისი
59	შიდა ქართლი	გორი	ერგნეთი
60	შიდა ქართლი	გორი	ქერე

61	შიდა ქართლი	გორი	ქორდი
62	შიდა ქართლი	გორი	წითელუბანი
63	შიდა ქართლი	ქარელი	თამარაშენი
64	შიდა ქართლი	ქარელი	კოდა
65	შიდა ქართლი	ქარელი	ავლევი
66	შიდა ქართლი	ქარელი	ბრემა
67	შიდა ქართლი	კასპი	თეზი
68	შიდა ქართლი	გორი	ახრისი
69	შიდა ქართლი	ხაშური	ბეკამი
70	შიდა ქართლი	კასპი	რენე
71	შიდა ქართლი	კასპი	თვაურები
72	სამცხე ჯავახეთი	ნინოწმინდა	განძა
73	სამცხე ჯავახეთი	ახალციხე	სვირი
74	სამცხე ჯავახეთი	ახალქალაქი	ბარალეთი
75	სამცხე ჯავახეთი	ბორჯომი	ახალდაბა
76	სამცხე ჯავახეთი	ასპინძა	ხიზაბავრა
77	სამცხე ჯავახეთი	ადიგენი	ზანავი
78	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	ამბროლაური	სადმელი
79	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	ლენტეხი	ჩიხარეში
80	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	ცაგერი	სპათაგორი
81	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	ონი	ღები

სიასლუები

მუნიციპალიტეტებიდან

საქრებულოს უმრავლესობა თბილისის მთავრობას უნდობლობას უცხადებს

21 იანვარი

საქრებულოს უმრავლესობა თბილისის მთავრობას უნდობლობას უცხადებს და მის გადადგომას მოითხოვს. როგორც საგანგებო ბრიფინგზე უმრავლესობის წევრმა ზაზა გაბუნია განაცხადა, მათი ეს მოთხოვნა გამოწვეულია იმ საბოტაჟის გამო, რომელიც მოხდა და თბილისის მერიის პოლიტიკის გამო.

□ თბილისის მერიას და თბილისის მთავრობას ჰქონდა დაგეგმილი პროვოკაციების სერია. საბოტაჟის მიზნით გუშინ მიმართეს მათ საბოტაჟს და ჩააქრეს ანდა სრულიად უსაფუძ-

ვლოდ. შემდეგ ჩვენი ძალისხმევით ჩაირთო ეს ანდა და გამოჩნდა, რომ მისი ჩაქრობა არანაირ ფინანსებთან და ბიუჯეტთან არ იყო კავშირში. შესაბამისად, თბილისის მერიის მთავრობა მიმართავს საბოტაჟს. თბილისის მერიის და თბილისის მთავრობის პოლიტიკის გამო მოვითხოვთ მთავრობის გადადგომას. ვუცხადებთ მას უნდობლობას", - განაცხადა ზაზა გაბუნია. მისივე თქმით, ახალი მთავრობის დანიშვნა საქრებულოსთან შეთანხმებით უნდა მოხდეს.

უმრავლესობის კიდევ ერთი წევრის, ეოკი იონათამიშვილის განცხადებით კი, თბილისის მერიის ქმედებებიდან გამომდინარე არ არის გამოცხადებული, რომ მომდევნო დღეებში მეტროს მუშაობას ან იგივე დასუფთავების სამსახურის მუშაობასაც შეექმნას საფრთხე. ეოკი იონათ-

ამიშვილი ვარაუდობს, რომ თუ ეს მოხდება, ესეც საბოტაჟის მაგალითი იქნება.

ამასთან, როგორც უმრავლესობაში აცხადებენ, ეს არის საყრებულოს პროზიცია თბილისის მერიასთან დაკავშირებით, ხოლო საყრებულოს სამართლებრივად თბილისის მთავრობის გადაყენების უფლება არ აქვს.

ფოთის მერის გადადგომის საკითხის განხილვა საყრებულოში ბოიკოტის გამო ჩაიშალა

21 იანვარი

ფოთის საყრებულოს 21 იანვრის სხდომაზე არ დაკმაყოფილდა დავით სარსანიას განცხადება ქალაქის მერის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. საყრებულოს თავმჯდომარე დავით ბაბილუას თქმით, საკითხის განხილვას მისთვის გაუგებარი მოტივაციით ბოიკოტი ფრაქცია "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" ერთხმად გამოცხადა.

"ამის საფუძველი არ ჰქონდათ. დავით სარსანია სხვა სამსახურში გადადის და შესაბამისი წერილით მოგვმართა. "ნაციონალების" მხრიდან ისევე პოლიტიკური თამაშია, რომ თითქოს ზეწოლები იყო, რაც სიცრუეა. ზეგისთვის ჩანიშნულია რიგგარეშე სხდომა და მე ვფიქრობ, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს. ადრე მათი მხრიდან არ იყო მსგავსი მიდგომები, მაგრამ დღეს რატომღაც ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს", - განუცხადა ფოთის საყრებულოს თავმჯდომარე დავით ბაბილუამ "ლაივპრესს".

თავის მხრივ, ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე კახაბერ გუგუჩია ამბობს, რომ მათ დავით სარსანიას გადადგომის საკითხს ბოიკოტი ორი მიზეზით გამოუცხადეს. ისინი ფიქრობენ, რომ ამ უკანასკნელმა ქალაქის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას თავი აარიდა, მეორეს მხრივ კი, "ქართული ოცნების" "დაპირისპირებულ მხარეებს" შორის არსებულ "ბინძურ პოლიტიკურ თამაშებს ემიჯნებიან, როცა მერობის კანდიდატად დღეს ერთ, ხვალ კი სხვა პირს განიხილავენ.

კახაბერ გუგუჩიას ინფორმაციით, ფოთის მერის თანამდებობაზე ორი ვიცემერის კანდიდატურა განიხილება, რომელთა მათგანს წარადგენენ ამ პოსტზე, არ იცის. რაც შეეხება დავით სარსანიას, ამბობს, მხოლოდ ჭორის დონეზე იცის, რომ ის სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ერთერთ მოადგილედ ინიშნება.

ფოთის მერმა დავით სარსანიამ თანამდებობა მიმიდინარე წლის 16 იანვარს საკუთარი

განცხადების საფუძველზე, სხვა სამსახურში გადასვლის მოტივით დატოვა,

ის ამ თანამდებობაზე გასული წლის იანვარში დაინიშნა.

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ხელვაჩაურის სოფლების რწმუნებულები დააჯავეს

22 იანვარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, 2014 წლის 21 იანვარს, სამსახურებრივი სიყალბის და სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით, დიდი ოდენობით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების თაღლითური გზით დაუფლების ფაქტზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს სოფლების, სალიბაურისა და ჯაპრეშუმის რწმუნებულები ლევან ცეცხლაძე და დავით თურმანიძე დააჯავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 10 500 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთების ფიზიკურ პირებზე უკანონოდ რეგისტრაციისათვის, გასცეს ყალბი ოფიციალური დოკუმენტები, რითაც მოქალაქეები უკანონოდ დაუფლნენ სახელმწიფოს კუთვნილ 169 541 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთებს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 341-ე და 180-ე მუხლების მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც 6 დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ფოთის მერის განცხადება გადადგომის შესახებ დაკმაყოფილებულია

22 იანვარი

ხმაური იყო 22 იანვრის ფოთის საყრებულოს სხდომაზე, სადაც ფოთის მერის დავით სარსანიას გადადგომის შესახებ განცხადება განიხილეს.

"ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს, ისინი მოითხოვდნენ, რომ სარსანიას მუშაობა გაეგრძელებინა და დაპირებები შეესრულებინა. მიუხედავად "ნაციონალური მოძრაობის" ბოიკოტისა, საკრებულოს უმრავლესობას სარსანიას განცხადების დასაყმაყოფილებლად ხმები ეყო. "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ დავით სარსანიამ გადადგომის შესახებ განცხადება ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ეკა ბესელიას ზეწოლის შედეგად დაწერა, რის გამოც ბესელიას დღეს საკრებულოში ფეოდალად მოიხსენიებდნენ, ხელისუფლების მომხრე საკრებულოს წევრებს ეი ბესელიას "წმორებს" უწოდებდნენ. საკრებულოს წევრის "ნაციონალური მოძრაობიდან" დარეჯან ცხვიტარიას განცხადებით, მათზე ხელისუფლება თვალთვალს და მოსმენას ახორციელებს. ფოთის ყოფილი მერი გავრცელებული ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილედ ინიშნება.

ლანჩხუთის გამგეობის თანამშრომელი პოლიციამ დააკავა

23 იანვარი

ლანჩხუთის მუნიციპალური გამგეობის თანამშრომელი, ნუგზარ ცინცაძე, თანმხლებ პირთან, ზურაბ სამსონაძესთან ერთად, საპატრულო პოლიციამ საგზაო წესების დარღვევისათვის, ურეკი ფოთის ავტომანქანის გრიგოლეთის მონაკვეთზე დააკავა.

განსაკუთრებული წინააღმდეგობა პატრულს ნუგზარ ცინცაძემ, მეტსახელად "ცანცუამ" გაუწია: თვითმხილველთა თქმით, ის დაჟიონებით მოითხოვდა ქვეყნის პრემიერთან, ირაკლი ლარიბაშვილთან დაკავშირებას: "ვის აჩერებთ, მე "ცანცუაი" ვარ, ლანჩხუთის რაიონისა და "ქართული ოცნების" ფაქტორი მმართველი" ყვიროდა ცინცაძე.

საბოლოოდ საპატრულო ეკიპაჟმა ცინცაძეც და სამსონაძეც დააჯარიმა, შესაბამისად 700 და 1000 ლარით, ლარიბაშვილის ხსენების გამო ეი ცინცაძეს ის "პატივი" დასდეს, რომ საჭესთან ჯდომა მის ნაცვლად სამსონაძეს

"გაუფორმეს".

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული "ოპელის" მარჯის მსუბუქი ავტომანქანა ეი საჯარიმო სადგომზე გადაიყვანეს.

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობიდან გადააყენეს

23 იანვარი

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობიდან გადააყენეს. თამაზ მარგველაშვილი მერიის შესარჩევი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას აღარ შეასრულებს.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე, კომისიის თავმჯდომარეობიდან მარგველაშვილის გადაყენებას 24 დეპუტატიდან მხარი 13-მა დაუჭირა. ენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ საკრებულოს "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს.

იმერეთის გუბერნიაში რეორგანიზაცია დასრულებულია

28 იანვარი

იმერეთის გუბერნატორმა, ზაზა მეფარიშვილმა სამხარეო ადმინისტრაციაში რეორგანიზაციის შედეგად დროებით მოვალეობის შემსრულებლები წარადგინა.

"მე მგონი ჩვენ ვართ პირველები, რომლებმაც დავასრულეთ ადმინისტრაციაში რეორგანიზაცია. ჩვენ ამისთვის უანონით განსაზღვრული 60 უალენდარული დღე გვქონდა", - განაცხადა, საგანგებო პრესკონფერენციაზე, ზაზა მეფარიშვილმა.

იმერეთის სახარეო ადმინისტრაციაში სულ 53 საშტატო ერთეულია. აქედან, 10 მუდმივი, ხოლო 37 დროებით შემსრულებელია. დარჩენილი 6 საშტატო ადგილი ვაკანტურია.

ზაზა მეფარიშვილი თავად, აღნიშნულ თანამდებობაზე 2013 წლის, დეკემბერში დაინიშნა.

450 000 ლარით წახალისებული საჯარო მოხელეები წყალტუბოში

28 იანვარი

გასული წლის ნოემბრიდან მიმდინარე წლის იანვრის ჩათვლით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში დასაქმებულ პირებზე პრემია სამჯერ გაიწია. საპრემიო თანხამ კი 450 000 ლარი შეადგინა.

საჯარო მოსამსახურეებზე პრემიების გაცემასთან დაკავშირებული პირველი ბრძანება გასული წლის 19 ნოემბერს არის გამოცემული. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ პრემია გიორგობის დღესასწაულისათვის გაიცემა. ბრძანებას ხელს წყალტუბოს საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ნოდარ ჯაპანაძე აწერს.

წყალტუბოს გამგეობასა და საკრებულოში დასაქმებულ საჯარო მოხელეებზე მორიგი პრემიის გაცემის ბრძანება გასული წლის 18 დეკემბერს დაინერგა. ბრძანებას, რომელსაც ხელს წყალტუბოს საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარე ჯაბა ბაბუნაშვილი აწერს, ნათქვამია, რომ თანხა ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, საჯარო მოხელეების მატერიალური წახალისების მიზნით გაიცემა.

მორიგი პრემია წყალტუბოს გამგეობასა და საკრებულოში ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით გაიწია. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ საპრემიო თანხა წყალტუბოს ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო.

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში ქუთაისის ყოფილი ვიცე-მერი დაინიშნა

28 იანვარი

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად, ქუთაისის ყოფილი ვიცე-მერი, კოტე ლომიძე დაინიშნა.

სამხარეო ადმინისტრაციაში, ქუთაისის

მერობის კიდევ ერთი კანდიდატი, სოსო ხახალაიშვილი - რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა.

სამხარეო ადმინისტრაციაში ახლად დანიშნული პირების გარდა, ასევე თანამდებობაზე რჩებიან ძველი თანამშრომლებიც.

სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის აპარატს გოჩა გაბუნია უხელმძღვანელებს, ხოლო მისი მოადგილე, ზეინაბ ხაჩიძე იქნება.

თუშები ახმეტიდან გამოყოფას და ცალკე თვითმმართველი ერთეულის შექმნას ითხოვენ

28 იანვარი

თუშები საქართველოს მთავრობისგან ითხოვენ, თუშეთი და თუშებით დასახლებული სოფლები ახმეტის მუნიციპალიტეტს გამოეყოს და ახალი თვითმმართველი ერთეული შეიქმნას.

შესაბამისი წერილით მთავრობას, პარლამენტის თავმჯდომარეს და სხვა სახელმწიფო უწყებებს, თუშების სახელით ასოციაცია "თუში მეცხვარეს" ხელმძღვანელმა ზურაბ მურთაზაშვილმა უკვე მიმართა. თუშები ახმეტის მუნიციპალიტეტის ყოფილი და ამჟამინდელი ხელისუფლების მუშაობით უკმაყოფილოები არიან.

გუბერნიიდან გათავისუფლებული ორი თანამშრომელი ზუგდიდის საკრებულომ დაასაქმა

29 იანვარი

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის ყოფილი უფროსი, ჯაბაერ ჩანგელია და საფინანსო-სამეურნეო სამსახურის, ასევე ყოფილი ხელმძღვანელი, მალხაზ ციკუტანია, რომლებმაც თანამდებობა ახალი გუბერნატორის დანიშვნის შემდეგ საკუთარი განცხადებების საფუძველზე დატოვეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, სხვადასხვა თანამდებობებზე დაინიშნენ.

მაღხაზ ციუტანისასთან და ჯახაბერ ჩანგელიასთან ერთად სამხარეო ადმინისტრაცია, ასევე დატოვა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა, ჯონი ბელქანამ.

სამხარეო ადმინისტრაციაში საკადრო ცვლილებები სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსის ტევან შონიას დანიშნულს შემდეგ დაიწყო. ის, ამ პოსტზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ლარიბაშვილმა 13 დეკემბერს დანიშნა. ტევან შონიამ გუბერნატორის პოსტზე თენგიზ გუნავა შეცვალა.

ტევან შონიამ 8 იანვარს ორი მოადგილე - ჯობა ქანთარია და ხვიჩა ჯიშარიანი დანიშნა. მოგვიანებით ცნობილი გახდა მესამე მოადგილის ვინაობაც. აღნიშნული თანამდებობა თვითმმართველი ქალაქ ფოთის ყოფილმა მერმა, დავით სარსანიამ დაიკავა.

ბათუმის მერი გადადგომის მიზეზს განმარტავს

05 თებერვალი

ჯემალ ანანიძემ თანამდებობიდან გადადგომის მიზეზებზე ისაუბრა და განმარტა, რატომ შეცვალა თავისი განცხადება, როცა ამბობდა, რომ გადადგომას არ აპირებდა: "დავწერე განცხადება გადადგომაზე იმიტომ, რომ ყოველთვის ვამბობდი, რომ არ ვარ პარტიული და ჩემს საქმიანობას მაინც პარტიას მიაწერდნენ. გამომდინარე აქედან, საზოგადოებაც დაიბნა და მეც მივინჯო, რა მიმართულებით წავიდე. თუ საქრებულო არ დააქმაყოფილებს ამ გადაწყვეტილებას, მაშინ მოვძებნი იურიდიულ გზებს იმასთან დაკავშირებით, რა მიმართულებით წავიდე".

ჯემალ ანანიძე ბათუმის მერად "ნაციონალური მოძრაობის" მართველობის დროს დაინიშნა.

ჯემალ ანანიძის ამბობს, რომ მის გადადგომას ჯავშირი არ აქვს გიორგი ერმაკოვის ვიცე-მერად დანიშვნასთან. ის ასევე ირ-

წმუნება, რომ არაფერი სემნია ირაკლი ლარიბაშვილის მიერ მისი გადაყენების მოთხოვნის შესახებ.

ადრე ის ამბობდა, რომ სიმართლეს არ შეესაბამებოდა გავრცელებული ინფორმაცია, თითქოსდა პრემიერმა ირაკლი ლარიბაშვილმა მოითხოვა მისი ჩანაცვლება ფინანსთა და შს სამინისტროების ყოფილი თანამშრომლით, გიორგი ერმაკოვით.

გიორგი ერმაკოვის დანიშვნას ვიცე-მერის თანამდებობაზე ჯემალ ანანიძემ მოაწერა ხელი. გიორგი ერმაკოვმა "ბათუმელებს" თავისი დანიშვნის მიზეზი ასე აუხსნა: "ვაკანტური იყო ადგილი, დავწერე განცხადება მერის სახელზე, რომ დავენიშნე ამ თანამდებობაზე".

"ვაკანტურ თანამდებობაზე" გიორგი ერმაკოვის დანიშვნამდე ნათია სურგულაძე მუშაობდა. მან ერმაკოვის დანიშვნამდე რამდენიმე დღით ადრე დაწერა განცხადება გადადგომაზე.

ჯემალ ანანიძემ 2012 წლის არჩევნების შემდეგ, ერთხელ უკვე დაწერა განცხადება გადადგომაზე. მაშინ მისი განცხადება საკრებულომ არ დააქმაყოფილა.

გიგი უგულავამ უფლებამოსილების შეჩერების გადაწყვეტილება გაასაჩივრა

06 თებერვალი

გიგი უგულავამ თბილისის მერის უფლებამოსილების შეჩერების გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.

როგორც სარჩელის შეტანის შემდეგ გიგი უგულავამ განაცხადა, სარჩელის მიზანი არის ფართო და არ დაიყვანება რომელიმე კონკრეტულ პერსონალიამდე.

"ჩვენ შევიტანეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი, რომელიც ჩემი უფლებამოსილების უკანონო

შენწყვეტას ეხება. მინდა საზოგადოებას განვუმარტო ამ სარჩელის მიზანი. ამ სარჩელის მიზანი და არც ჩემი სურვილი არ არის, რომ მერის ოფისში დავბრუნდე. მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ სულ რაღაც 5 თვეში საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია და, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობა აირჩევს ახალ მერებსა და გამგებლებს. სარჩელის მიზანი არის ფართო და არ დაიყვანება რომელიმე კონკრეტულ პერსონალიზმზე და არც ჩემამდე. ამ სარჩელით ჩვენ გინდა, დავამსხვრიოთ ის ჩამოყალიბებული სტერეოტიპი და ტენდეცია, რომელიც საქალაქო და შემდეგ სააპელაციო სასამართლომ შექმნა - ნებისმიერ მთავრობას, რომელსაც არ მოეწონება არჩეული მერი ან გამგებელი, შეეძლოს სასამართლოს გამოყენებით ჩამოაშოროს არჩეული თანამდებობის პირი თანამდებობას. შემდეგ კი, წლების განმავლობაში, თანამდებობის პირმა ამტკიცოს უდანაშაულობა, იმის მაგივრად, რომ შეასრულოს ის დანაპირები, რაც ხალხმა გამოუცხადა არჩევნების შემდეგ", - აღნიშნა უგულავამ.

[თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს](#)

07 თებერვალი

გამგეობის ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილი უფროსი გიორგი მაჭავარიანი ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა-შექნა-მოხმარების ბრალდებით იყო დაკავებული.

მაჭავარიანი ხუთწლიანი პირობითი სასჯელის შეფარდების სანაცვლოდ გაათავისუფლეს. ამასთან, მას ნარკოტიკის მოხმარებისთვის 500-ლარიანი ჯარიმა და თავისუფლების სანაცვლოდ 5000 ლარის ოდენობის გირაოს გადახდა დაეკისრა. მას 5 წლის განმავლობაში თანამდებობის დაკავების უფლებაც ჩამოერთვა.

თელავის რაიონული პროკურორის გიორგი ლილუაშვილის ინფორმაციით, მაჭავარიანს ნარკოტიკული ნივთიერების მცირე დოზა არა გასაღების, არამედ მხოლოდ

მოხმარების გამო აღმოაჩნდა და სასამართლომ გათავისუფლების გადაწყვეტილება სწორედ ამ მიზეზით მიიღო.

გიორგი მაჭავარიანი სამართალდამცველებმა მიმდინარე წლის იანვარში დააკავეს. მას ბრალის დამტკიცების შემთხვევაში თავისუფლების 11 წლით აღკვეთა ემუქრებოდა.

მაჭავარიანი საჯარო სამსახურში 2013 წლის მარტიდან მუშაობდა.

[ქვემო ქართლის გუბერნატორს ახალი მოადგილე ჰყავს](#)

07 თებერვალი

4 თებერვლიდან ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილის მოვალეობას რამინ ისმაილოვი ასრულებს. მანამდე ისმაილოვი 2013 წლის 8 აგვისტოდან - გუბერნიაში დანიშნვამდე, მარნეულის გამგებლის მოადგილე იყო.

ისმაილოვის კარიერა ძალოვან უწყებებს უკავშირდება. „ 2002 წელს დავამთავრე პოლიციის აკადემია. შემდეგ შსს-ში სხვადასხვა პოზიციებზე 2011 წლამდე ვმუშაობდი. სამსახურიდან წავედი პირადი პატაჟის საფუძველზე. 2012 წელს კი, აღვიდგინე თავი ქვემო ქართლის მთავარ სამმართველოში და აგვისტომდე ვმუშაობდი მარნეულის საუბნო განყოფილების უფროსად“, - აცხადებდა სექტემბერში „ქვემო ქართლის საინფორმაციო პორტალთან“ საუბრისას რამინ ისმაილოვი.

ამბობდა, რომ ძალოვან უწყებებში მუშაობის შემდეგ, გამგეობაში საქმიანობა - მისთვის აღვილია.

[დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დააკავეს](#)

11 თებერვალი

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა თაღლითობის, სამსახურეობრივი უფლებამოსილების

გადამეტებისა და კანონით აკრძალული საჩუქრის მიღების ფაქტებზე, დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ოტიაშვილი დააკავებს. ასევე დაკავებულია შპს "ბასა + 2008"-ის დირექტორი გიორგი ბასაძეშვილი. მას გამოძიება ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენებასა და თაღლითობას ედავება.

საგამომძიებო სამსახურის ცნობით, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ზურაბ ოტიაშვილმა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში გადაწყვიტა შენიღბული ფორმით, ფიქტიური აუქციონის ჩატარების მეშვეობით რეალურ ღირებულებაზე გაცილებით ნაკლები თანხის გადახდით თაღლითურად დაუფლებოდა სახელმწიფოს კუთვნილ ქ. დუშეთში მდებარე 920,8 კვ.მ ფართობის მქონე შენობა-ნაგებობასა და 839 კვ. მ ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს.

ფოტის საკრებულო მეოთხე ვიცე-მერის შემოღების საკითხს არ განიხილავს

11 თებერვალი

ფოტის საკრებულოს თავმჯდომარის, დავით ბაბილუას განცხადებით, ფოტის საკრებულო მეოთხე ვიცე-მერის შემოღების საკითხს არ განიხილავს. მისი თქმით, ფოტის მერიიდან იყო მსგავსი შინაარსის დადგენილების პროექტი შესული, რაზეც იმსჯელეს, მაგრამ მისი განხილვა მიზანშეწონილად არ მიიჩნეეს.

ბაბილუა მიიჩნევს, რომ მსგავსი შტატის დამატების საჭიროება არ ღვას.

ფოტის მერის, დავით სარსანიას გადადგომის შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია, მის ნაცვლად "ქართული ოცნების" ფოტის ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და ფოტის მაჟორიტარ ეკა ბესელიას ფავორიტის, ირაკლი ჯაყელის დანიშვნის შესახებ.

პროცედურულად, ის ჯერ მერის მოადგილედ უნდა დანიშნულიყო, რისი ორი გზა არსებობდა: ან ერთ-ერთ ვიცე-მერს უნდა

დაეტოვებინა თანამდებობა, ან დამატებოდა მეოთხე ვიცე-მერის შტატი, რის შემდეგაც ის მერის მოვალეობას შესრულებასაც შეუთავსებდა. რადგან მერის არც ერთ მოადგილეს თანამდებობა არ დაუტოვებია, რჩებოდა შტატის დამატება, რომლის განხილვაზე დღეს ფოთელმა თვითმმართველებმა უარი თქვეს. ვაჟანსიაზე კონკურსის გამოცხადების პროცედურები, მოახლოებული არჩევნების გამო, აზრს კარგავდა.

შეგახსენებთ, რომ ფოტის მერად დავით სარსანია გასული წლის იანვარში, ასევე ბესელიას მხარდაჭერით დაინიშნა. მიმდინარე წლის 16 იანვარს, მან ოფიციალურად, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილედ გადაყვანის მიზეზით, გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. საკრებულომ მერს განცხადება 22 იანვარს დაუკმაყოფილა.

მერის გადადგომის რეალურ მიზეზად, მაჟორიტარ დეპუტატ ეკა ბესელიასთან დაპირისპირება დასახელდა. მერის მოვალეობას ამჟამად ვასილ თოდუა ასრულებს, რომელიც მანამდე მერის მოადგილე იყო.

საგამომძიებო სამსახურმა კომპანია "ბულაჩაურის" და მთაწმინდის გამგეობის თანამშრომელი დააკავა

12 თებერვალი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო სამსახურმა თბილისში, ქრთამის მიცემისა და ქრთამის აღების ფაქტზე, სამშენებლო კომპანია "ბულაჩაურის" დირექტორი ვალერიან კირიკიტაძე და მთაწმინდის რაიონის გამგეობის თანამშრომელი გოგა გოგია დააკავა.

საგამომძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ გოგა გოგიამ ვალერიან კირიკიტაძისგან მშენებლობისთვის საჭირო ნებართვის მიღებაში დახმარების სანაცვლოდ, კერძოდ, 2 კოეფიციენტის უკანონო გაზრდისთვის, ქრთამის სახით 2 500 აშშ დოლარი აიღო.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე და 339-ე მუხლის პირველი ნაწილებით, რაც

6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შსს-მ ყვარლის გამგებლის მოადგილე დააჯავა

12 თებერვალი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ბრალდებით, ყვარლის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ოთარ ადომლიძე ითვალისწინებს დააჯავს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ოთარ ადომლიძემ, თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას და ასევე, თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, მოქალაქეს ყვარლის რაიონის სოფელ ენისელში მდებარე 711 931 კვ.მ მიწის ფართობის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის აუქციონზე გატანის, მასში გამარჯვების და ქონებაზე ხელოვნურად ფასის დაკლების სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 50 000 ლარი.

გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელ შოთა მურღულიას უფლებამოსილება შეუჩერდა

12 თებერვალი

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილმა ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელ შოთა მურღულიას უფლებამოსილება შეუჩერა.

მარგველაშვილმა მერის მოვალეობის შესრულება ქუთაისის მეორე ვიცე-მერს, ნიკო კაჭიაჭიშვილს დაავალა.

შოთა მურღულია პოსტიდან მის გადაყენებას უკანონოდ მიიჩნევს

12 თებერვალი

"ჩემი გადაყენება ეს არის უკანონო და უკანონობას საკრებულოს წევრები არ დაუშვებენ. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება უახლოეს მომავალში შეიცვლება", - აცხადებს მურღულია.

თუმცა, ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუკი საკრებულოში ვერ მოგვრდა ეს საკითხი, აპირებს თუ არა მიმართოს სასამართლოს, მურღულიამ განაცხადა, რომ არ არის გამორიცხული სასამართლოსაც მიმართოს.

ხონის გამგებელი და მისი მოადგილე ქუთაისის საქალაქო სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

12 თებერვალი

მოსამართლე დავით ახალბედაშვილის გადაწყვეტილებით, ხონის გამგებელს ზურაბ ჯიბუხაისა და მის მოადგილეს ბესარიონ ჭელიძეს 2 თვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ.

დაკავებულების ადვოკატის გიორგი ჭიკაბერიძის განცხადებით, შესაბამისი მტკიცებულებების უქონლობის გამო, მისი დაცვის ქვეშ მყოფებს არც ერთი სახის აღმკვეთი ღონისძიება არ უნდა შეფარდებოდეთ. ადვოკატი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას სააპელაციო წესით გეგმავს. დღევანდელი პროცესის დასრულების შემდეგ დაკავებულები ქუთაისის მეორე საპრობილეთში გადაიყვანეს. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მასალების თანახმად, ზურაბ ჯიბუხაი და ბესარიონ ჭელიძემ ხონის მუნიციპალიტეტის გამგებობისათვის უსასყიდლოდ გადაცემული საშემუ და სამასალე მერქანი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ნაცვლად ხის გადამამუშავებელ საწარმოებს გადასცეს. მათ ბრალი გამგებობის ბალანსზე რიცხული ქონების გაფლანგვაში ედებათ.

8 ფრაქცია საკრებულოში და ბიუჯეტიდან გამოყოფილი 129 ათასი ლარი

12 თებერვალი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერვე ფრაქცია "სამოქალაქო ინიციატივები" შეიქმნა. ფრაქციაში საკრებულოს სამი წევრი გაერთიანდა. 8 ფრაქციის შენახვა ადგილობრივ ბიუჯეტს წელიწადში 129 ათას 600 ლარი დაუჯდება. ფრაქციების თავმჯდომარეთა უმრავლესობა ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრია.

რატომ გოვებს თანამდებობას ლაგოდების გამგებელი

12 თებერვალი

ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებელი თანამდებობას გოვებს. ამის მიზეზად ვალერი ალიბეგაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ასახელებს. მისი თქმით ორთვიანი რეგულარული მკურნალობა ესაჭიროება, რის გამოც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას ვერ შეძლებს.

დავით ნარმანია - შოთა მურღულიასთვის უფლებამოსილების შეჩერება ზნეობის არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება

13 თებერვალი

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ქუთაისის მერისთვის უფლებამოსილების შეჩერებას ქალაქის მართვის პრეტენზიის მქონე ვინრო ჯგუფებს უკავშირებს.

როგორც დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს თემის კომენტარებისას განუცხადა, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის ეს გადაწყვეტილება კანონმდებლობას ეწინააღმდეგება და ზნეობის ჩარჩოებში არ ჯდება.

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს, შოთა მურღულიას მერის უფლებამოსილება შეუჩერდა.

შოთა მურღულია ქუთაისის მერიის წინ მიმდინარე აქციას შეუერთდა

13 თებერვალი

ქუთაისის მერის მოვალეობის ყოფილი შემსრულებლის განცხადებით, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ კანონი დაარღვია.

"ვაცადოთ ჰატარა კაცებს, მათ მხოლოდ სამი დღე აქვთ დარჩენილი. 3 დღეში ყველაფერი უარგად იქნება და ქუთაისი წინვლას განაგრძობს. მე ვარ ქუთაისელი და მე ვდგავარ თქვენს გვერდით. ერთად ვიბრძოლოთ უსამართლობისთვის", - განაცხადა მურღულიამ აქციაზე.

მურღულიას ქუთაისის საკრებულომ უფლებამოსილება შეუწყვიტა და აღნიშნული თანამდებობა ნიკო ჯაჭიაჭიშვილს შესთავაზა, თუმცა მან მოვალეობის შესრულებაზე უარი განაცხადა.

ნიკო ჯაჭიაჭიშვილი ქუთაისის მერის მოვალეობის შესრულებაზე უარს აცხადებს

13 თებერვალი

მისი თქმით, არ სურს ეს მოვალეობა საკუთარ თავზე აიღოს.

"ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლად ჩემი დანიშვნა სიტუაციას მეტად დაძაბავს. ქალაქის საკეთილდღეოდ ვიღებ გადაწყვეტილებას და უარს ვაცხადებ ამ თანამდებობაზე", - განაცხადა ჯაჭიაჭიშვილმა.

ქუთაისის ვიცე-მერს მერის მოვალეობის შესრულება საკრებულომ მას შემდეგ შესთავაზა, რაც შოთა მურღულიას აღნიშნულ თანამდებობაზე უფლებამოსილება შეუწყვიტა.

მურღულია ქუთაისის მერიის სამსახურის უფროსებს მოუწოდებს მუშაობა არ შეწყვიტონ

13 თებერვალი

ქუთაისის მერის ყოფილი მოვალეობის შემსრულებელი შოთა მურღულია, მერიის სამსახურის უფროსებს მოუწოდებს, რომ სიმშვიდე შეინარჩუნონ და მუშაობა არ შეწყვიტონ.

"ყველა სამსახურის უფროსს მოვუწოდებ მუშაობა არ შეწყვიტონ. ეს იმათი სურვილია ვისაც ქალაქში არეულობა აწყობს, მე კი ეს არეულობა არ მანყობს. პატარა ადამიანები პატარა გადაწყვეტილებებს ებუღობენ, მაგრამ მათ მხოლოდ სამი დღე დარჩათ და ეს მათი ბოლო კუდის მოქნევია,"-ამბობს შოთა მურღულია.

შოთა მურღულია ასევე ქუთაისის ვიცე-მერს ნიკო ჯაჭიაჭიშვილის მოწოდებას საკრებულოს თავმჯდომარესთან მოლაპარაკების შესახებ ეხმაურება და ამბობს, საკრებულოს თავმჯდომარესთან არანაირი მოლაპარაკების გამართას არ აპირებს.

ბათუმის მერმა თანამდებობა ოფიციალურად დატოვა

13 თებერვალი

ბათუმის საკრებულომ გადადგომის შესახებ ბათუმის მერის, ჯემალ ანანიძის განცხადება დააქმაყოფილა. 13 თებერვალს გამართულ საკრებულოს სხდომაზე ჯემალ ანანიძის განცხადებას 14 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი იყო ერთი დეპუტატი, ხოლო "ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციების წევრებს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ჯემალ ანანიძემ გადადგომის შესახებ განცხადებით საკრებულოს თავმჯდომარეს 3 თებერვალს მიმართა. ის ბათუმის მერის პოსტზე 2012 წლის 4 ოქტომბერს დაინიშნა. 2010 წლიდან ჯემალ ანანიძე ვიცე-მერის თანამდებობას იკავებდა, მანამდე კი მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი იყო.

ბათუმის მერის მოვალეობას გიორგი ერმაკოვი შეასრულებს

13 თებერვალი,

აღნიშნული გადაწყვეტილება ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარემ, ირაკლი ჩავლიშვილმა მას შემდეგ გამოაცხადა, რაც მოქმედი მერის ჯემალ ანანიძის განცხადება გადადგომის შესახებ საკრებულომ დააქმაყოფილა.

როგორც გიორგი ერმაკოვმა განმარტა, ბოლო დღეების განმავლობაში მიმდინარეობდა კონსულტაციები და არჩევანი მასზე შეჩერდა. მისივე თქმით, დიდი ცვლილება არ მომხდარა, რადგან ვიცე მერის პოსტს იკავებდა.

გიორგი ერმაკოვი ვიცე მერის პოსტზე 2014 წლის 30 იანვარს დაინიშნა. ის ბოლო პერიოდში ბათუმის შემოსავლების სამსახურში მუშაობდა. 2008 წელს გიორგი ერმაკოვი აჭარის გარემოს დაცვის ინსპექციის ხელმძღვანელად დაინიშნა. მანამდე კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკორუფციასა და ეკოლოგიურ დანაშაულთა ბრძოლის სამმართველოს უფროსი იყო.

იმერეთის გუბერნატორი საზოგადოებას მურღულიას მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის

13 თებერვალი

იმერეთის გუბერნატორი ქუთაისში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება.

მეფარიშვილი მიიჩნევს, რომ ქუთაისს ერთი გუნდი და ერთი ქლანი მართავს და ეს პროცესები სწორედ ამის გამოხატულებაა.

"მარგველაშვილმა უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რაც აზრს და ძალას მოკლებულია. ქუთაისელების ნებაა, რომ ჩვენ დანყებული ჯარგი საქმეები ერთად გავაგრძელოთ და ასეც იქნება. მადლობა ყველას, ვინც შოთა მურღულიას მხარდაჭერა გამოუცხადა," - აღნიშნა მან.

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობიდან გადადგა

14 თებერვალი, 2014 წ.

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილი თანამდებობიდან გადადგა. მან გადადგომის შესახებ განცხადება უკვე დაწერა. საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება მის მოადგილეს დაეკისრება.

როგორც თამაზ მარგველაშვილმა განაცხადა, მან ეს გადაწყვეტილება შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამო მიიღო. მისი თქმით, მას სუფთა წარსული აქვს და უნდა ასეთივე წავიდეს თანამდებობიდან და არ ჩაერთოს პოლიტიკურ თამაშებში.

ლანჩხუთის საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობაზე რჩება

14 თებერვალი

შეხვედრა გაიმართა სახელმწიფო უწყებებში, სადაც გურიის გუბერნატორი, გიორგი ჩხაიძე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან გიგინეიშვილი იმყოფებოდნენ. გიგინეიშვილის ინფორმაციით, შეხვედრას გაა ვოლსკიც ესწრებოდა:

ორ ძირითად საკითხზე ვისაუბრეთ. პირველი ის იყო, თუ რა ხდებოდა ლანჩხუთის საკრებულოში და ფრაქციაში, მეორე კი ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს. შეხვედრაზე, რომელიც დიდხანს არ გაგრძელბულა. აღვნიშნეთ, რომ არჩევნების წინ უაღიციურ ძალებს შორის დებატები ჯანსაღია, თუმცა, ეს ყველაფერი პრესკონფერენციების სახით არ უნდა იმართებოდეს, _ გვითხრა გიგინეიშვილმა.

მისივე თქმით, შეხვედრაზე ჩოხატაურის და ოხურგეთის საკრებულოს თავმჯდომარეები არ ყოფილან:

მე ვიყავი იმიტომ, რომ თქვენ მიერ წამოწეულმა თემებმა დაინტერესება გამოიწვია და შესაბამისად, ლანჩხუთი ყურადღების ცენტრში მოექცა, _ დასძინა საკრებუ-

ლოს თავმჯდომარემ.

ამირან გიგინეიშვილის განმარტებით, მის წასვლაზე საუბარი არ ყოფილა და თანამდებობაზე მუშაობას ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს.

სტატისტიკოსი - თვითმმართველობაში ახალ შტატს ამატებენ

15 თებერვალი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 თებერვლის სხდომაზე გადაწყდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციას ახალი სპეციალისტი დაემატება. ახალ თანამშრომელს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველანაირი ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ელექტრონულ ბაზაში მოთავსება დაევალება.

მუნიციპალიტეტებმა მედია ორგანიზაციებს ხელშეკრულებები გაუქმეს

17 თებერვალი

ქახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების გამგებლებმა 2014 წლის დასაწყისში სხვა წლებისგან განსხვავებით, რეგიონის ტელევიზიების საეთერო დრო აღარ იყიდეს. როგორც ამ საკითხზე გამგეობებში აცხადებენ, მათ აღნიშნული მომსახურება აღარ სჭირდებათ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელიც წლების განმავლობაში ტელეკომპანია „გურჯაანის“ საეთერო დროს ყიდულობდა, სამაუწყებლო კომპანიას წელს ხელშეკრულება აღარ გაუფორმა. როგორც გამგეობაში აცხადებენ, წლეუანდელ ბიუჯეტში "ტელე-რადიო მაუწყებლობისა და საგამომცემლო საქმიანობის მომსახურებისთვის 82 500 ლარია გათვალისწინებული.

როგორც საკრებულოს სხდომაზე მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ნატო ლონდაძემ განაცხადა, ტელეკომპანია „გურჯაანში“ საეთერო დროის ყიდვის მაგივრად, იმ

თანხის ნახევრით, რაც ხელშეკრულებით სამაუწყებლო კომპანიას ერიცხებოდა, გაიზარდა სოციალური პაკეტის დაფინანსება 20000 ლარით.

დედოფლისწყაროს გამგებელი, 31 წლის ნიკა ჯანიაშვილი გახდება

17 თებერვალი

დედოფლისწყაროს გამგებლის კანდიდატურაზე გამოცხადებულ კონკურსში საქონკურსო-საატესტაციო კომისიამ ნიკოლოზ ჯანიაშვილი შეარჩია. ამის შესახებ კომისიის თავმჯდომარე ვეფხია ნატროშვილი აცხადებს.

ნატროშვილის განმარტებით, ნიკა ჯანიაშვილმა შერჩეული 5 კანდიდატიდან კომისიის წევრთაგან ყველაზე დამაჯამყოფილებელი შეფასება მიიღო. კომისიის თავმჯდომარე ამბობს, რომ თუ კომისიამ გადაწყვეტილება არ შეცვალა, ჯანიაშვილის კანდიდატურა დედოფლისწყაროს საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინება. მისივე თქმით, ეს საბოლოო გადაწყვეტილება არ არის.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი 1983 წლის 12 სექტემბერს დედოფლისწყაროში დაიბადა. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ ის ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა. ამ დრომდე ნიკა ჯანიაშვილი ბანკ "კრისტალის" წნორის ფილიალის მმართველის პოსტს იკავებს. კონკურსში 47 კანდიდატი დარეგისტრირდა, საიდანაც არჩევანი ხუთეულს შორის გაკეთდა. უკანასკნელი განხილვა კომისიამ 14 თებერვალს გამართა. შერჩეულ ხუთეულში მოხვდნენ დავით ყარაგვუზაშვილი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ლალი ჯანიკაშვილი, ჯიმი ჯეჯელაშვილი და გიორგი მჭედლიშვილი.

ქუთაისის საკრებულოს წევრებმა ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობიდან გაათავისუფლეს

17 თებერვალი

ქუთაისის საკრებულოს 15 დეპუტატმა თამაზ

მარგველაშვილს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე უფლებამოსილება შეუჩერა.

"დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მარგველაშვილის გადაყენებას,"- განაცხადა ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარემ მამუკა მღვდელაძემ.

ცნობისთვის საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენებას მხარი "ნაციონალური მოძრაობის" ერთმა წევრმა გია გოქაძემ არ დაუჭირა.

შეგახსენებთ, რომ თამაზ მარგველაშვილმა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ მიიღო.

შოთა მურღულია ევლავ ქუთაისის მერია

17 თებერვალი

შოთა მურღულია ქუთაისის მერის კანდიდატურაზე ატადგინეს.

ამის შესახებ ქუთაისის საკრებულოს საზოგადოებასთან უთიერთობის სამსახურში განაცხადეს.

მათივე ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილება ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეის მოვალეობის შემსრულებელმა ლევან კირიკიტაძემ მიიღო.

თბილისის ხუთი რაიონის გამგებელი პროკურატურაში დაიბარეს

05 მარტი

თბილისის ანძის გარეგანათების გათიშვასთან დაკავშირებით, პროკურატურაში თბილისის ხუთი რაიონის გამგებელი დაიბარეს., პროკურატურაში დაკითხვაზე უნდა გამოცხადდნენ ისინი გამგებელი თორნიკე ხუციშვილი, ჩუღურეთის გამგებელი დათო დატელაშვილი, ყრწანისის გამგებელი ხათუნა ბერძენიშვილი, გლდანის გამგებელი ნოდარ სანდუხაძე და დიდუბის გამგებელი

ტევან მხეიძე.

როგორც ბრიფინგზე თბილისის მერის მოადგილემ ირაკლი აბესაძემ განაცხადა, ამჟამად თბილისის მერიაში შესულია თბილისის ფინანსური პოლიციის მეორე სამმართველო, მესამე სამმართველო, მეოთხე სამმართველო, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველო, მთავარი პროკურატურა და თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისია, რომელიც ერთდროულად 5 სამსახურს ამონებს.

"ამავდროულად, დღეს, თბილისის ანძის გარეგანათების გათიშვის საერთოდ აბსურდულ საქმეზე უკვე მეორეჯერ დაკითხვაზე არიან დაბარებული რაიონების გამგებლები", - განაცხადა აბესაძემ.

მისივე შეფასებით, ნათელია, რომ ვითომ გამოძიებისა და შემოწმების მიზანი, რომლებიც წინასწარჩევნო პერიოდის მოახლოებასთან ერთად გააქტიურდა, კვლავ პოლიტიკური ზეწოლისა და ხელების გადაგრეხვის პროცესის გაგრძელებაა.

"მიზანი კი ნათელია, საარჩევნო პროცესს ჩამოაშორონ ის ადამიანები, ვინც თავისი პროფესიონალიზმისა თუ განუღივლი სამუშაოებიდან გამომდინარე, არჩევნებისას რეალურ კონკურენტებად აღიქმებიან", - განაცხადა ირაკლი აბესაძემ.

მან ხელისუფლებას მოუწოდა, დაშინების მცდელობის ნაცვლად, თბილისელებისთვის რეალური საქმე აკეთონ და ნუ იქნებიან ირაკლი შიხიაშვილის ახირებების დამცველები, რაც თბილისში თვითმმართველობის გაუქმებას გულისხმობს.

ზუგდიდის გამგებლის მოადგილის დედა ტალი ანთია დააჯავს

10 მარტი

დაჯავებული სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციაში დასაჯიბხად გადაიყვანეს. დაჯავების ზუსტი მიზეზი უცნობია, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, ტალი ანთია მიღების საქმეზეა დაჯავებული.

სოფელ რიყის მოსახლეობა აქციებით ტალი ანთიას ბრალს მიღების ამოღებასა და გაყიდვაში თვეების განმავლობაში სდებდა. საქმეს ზუგდიდის პროკურატურა იძიებდა. ცნობისთვის, ტალი ანთია აქამდეც იყო თაღლითობის ბრალდებით დაჯავებული. გიზო სართანიასთან დაჯავშირება ამ დრომდე ვერ ხერხდება.

ქუთაისში საკრებულოს ფრაქცია "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" დაიშალა

14 მარტი

ქუთაისში საკრებულოს ფრაქცია "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" ორ ფრაქციად დაიშალა. ბრიფინგზე ალიანსის ერთ-ერთმა წევრმა, დეპუტატმა ტატო მესხმა განაცხადა, რომ ფრაქცია დაიშალა და მის ბაზაზე ორი ფრაქცია ჩამოყალიბდება.

"ამერიიდან, ფრაქცია "პატრიოტები" და ფრაქცია "პატრიოტთა ალიანსის" სახელით ვიქნებით ქუთაისის საკრებულოში წარმოდგენილი", - განაცხადა ტატო მესხმა. მისი თქმით, ფრაქცია "პატრიოტებში" თამაზ მარგველაშვილი, ზაურ ქორჩილავა და გოგიტა გეგელაშვილი, ხოლო "პატრიოტთა ალიანსში" კი თავად, კახა ნემსინვერიძე და დავით ჯანაშია განევრიანდებიან.

ხაშურის გამგეობის თანამშრომელი ქრთამის აღების ფაქტზე დააჯავს

19 მარტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ქრთამის აღების ფაქტზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, ჯემალ ხვედელიძე დააჯავს.

როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან იცობინებიან, გამოძიებით დადგენილია, რომ ჯემალ ხვედელიძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე მიწის ნაკვეთზე, სასტუმროს მშენებლობისთვის საჭირო პროექტის მომზა-

დების და სამშენებლო ნებართვის მიღებაში დახმარების სანაცვლოდ, მოქალაქისაგან ქრთამის სახით, 4 000 აშშ დოლარი აიღო.

უნყების ინფორმაციით, მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ახალციხის გამგებელი ჰასუხისგებაში მისცეს

26 მარტი

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის დროებით მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ ბლიაძე 26 მარტიდან, ამ ჰოსტზე აღარ მუშაობს. მისი უაბინეტი დაკეტილია.

ბესიკ ბლიაძეს სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურამ ბრალი 24 მარტს 17:00 საათზე წაუყენა. მას ბრალი სსკ-ის 341-ე მუხლით ედება, რაც სამსახურეობრივ სიყალბეს გულისხმობს. აღნიშნული მუხლი 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

"ბესიკ ბლიაძე არ დაგვიკავებია, ბრალი წარვუდგინეთ და სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისთვის მივმართეთ", - ამბობს სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გიორგი ბახტაძე.

ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ნათია მერაბიშვილმა ბლიაძეს გირაო 4 000 ლარი, 25 მარტს, 17:00 საათზე შეუფარდა.

სასამართლომ ბესიკ ბლიაძის თანამდებობიდან გადაყენების შესახებაც მიიღო გადაწყვეტილება.

"25 მარტის განჩინებით, ბლიაძე უკვე სამსახურიდანაა გათავისუფლებული", - აცხადებს ბახტაძე.

ელექტრონული ბიულეტენი "თვითგმარტველობის ღრთა" შექმნილია სამოქალაქო ჟულტურის სართაშორისო ცენტრის მიერ, ფონდ "ღია სოგოდოება - საქართველოს" და ფინანსებული პროექტის "სამოქალაქო სოგოდოება და ცენტრალიზაციისათვი" ფარგლებში.

ბიულეტენში გაშუქდება როგორც მუნიციპალიტატებში მიმდინარე ყოველდღიური პროცესები, ისე აღგილობრივით-ვითგმარტველობის რეფორმის პროცესის მიმდინარეობა, იმედს ვიტოვებთ, რომ ბიულეტენში მოცემული ინფორმაცია სინტარესო იქნება აღგილობრივი თვითგმარტველობით დანიტარესებული ვირებისათვის.

მის შენარსოა ვასუხისგებალია "სამოქალაქო ჟულტურის სართაშორისო ცენტრი" და იგი არ ასახავს ფონდ "ღია სოგოდოება - საქართველოს" შეხედულებებს.

თქვენი შენიშვნები და წინადადაები გამოგვიგზავნეთ ელფოსტაზე - office@iccc.org.ge

© სამოქალაქო ჟულტურის სართაშორისო ცენტრი
www.lsg.ge www.ivote.ge